საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

სამშაბათი, 2 დეკემბერი. 2019 წ. №238 (8904) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტრუნის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სასიამოვნო მოულოდნელობა

ეჭვიც არ მეპარება, რომ ფონდი „იავნანა“, ანუ პაატა ბურჭულაძე არამცთუ იყო და არის, არამედ კვლავაც იქნება საქართველოს სიამაყე.

5

პოლიტიკურ-ზნეობრივი იდიოტიზმი

საქართველოს ჯვარის ერთ-ერთი მტვირთველი



როდესაც თვალს ვადევნებთ XX საუკუნის I ნახევარში საქართველოში მოღვაწე მეცნიერთა დიდებულ თანავარსკვლავედს, ნათელი ხდება რა სახით გამოვლინდა ღვთის წყალობა ათეისტური რეჟიმის პირობებში ჩვენს ქვეყანაში; მაშინ, როდესაც ეკლესია დაუძლურებული იყო, სულიერ-ინტელექტუალურ ცენტრად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იქცა და აქ აღზრდილმა კორიფეებმა სათავე დაუდეს სხვადასხვა დარგის განვითარებას სხვადასხვა სფეროში.

ერთ-ერთი ასეთი პიროვნება ბრძანდებოდა ბატონი შალვა ამირანაშვილი, რომლის წვლილიც ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლაში, ქრისტიანულ ხელოვნების ნიმუშთა დაცვასა და პოპულარიზაციაში განუზომელია. იგი სრულიად ახალგაზრდა მონაწილეობას იღებდა საქართველოს საგანძურის შეფუთვასა და უცხოეთში გამგზავრებაში და, ასევე, დიდ ექვთიმესთან ერთად, განძის საქართველოში ჩამოტანაში.

მისი ბიოგრაფია სავსეა უმნიშვნელოვანესი მოვლენებით, რაზეც ყურადღებას აქ აღარ გავამახვილებთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ იგი იყო თავისი დროის საქართველოს ჯვარის ერთ-ერთი მტვირთველი და ამიტომაც ჩვენი ერის და ეკლესიის სახელით კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდით გაწეული განუზომელი ღვაწლისთვის და აღვავლენთ ლოცვებს მისი სულის საოხად.

ღმერთმა დალოცოს და ნათელში დააწესოს ბატონი შალვას უკვდავი სული და უფლის წყალობა არ მოაკლოს მის შთამომავალთ.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

საქაკაშვილი რომ დაბრუნდეს, ნაცები პირველად „ევროპულ საქართველოს“ დაერევიან

3

დავით სონღულაშვილი: დღეს ქვეყნიდან უფრო ნაკლები ადამიანი გადის!

მიგრაციის საკითხს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით სონღულაშვილი გამოეხმაურა:

ჩვენი ოპონენტები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ჩვენი ხელისუფლების პირობებში ქვეყანას უფრო მეტი ადამიანი ტოვებს, ვიდრე წინა ხელისუფლების მმართველობის დროს, რაშიც, მათსავე მტკიცებებით, ჩვენ ვუწყობთ საქართველოს მოქალაქეებს ხელს. სინამდვილეში, ფაქტები საწინააღმდეგოს ამტკიცებს. მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ჩვენი მმართველობის დროს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებმა ევროპაში უვიზოდ გადაადგილების უფლება მოიპოვეს და ეს მართლაც უდიდესი მონაპოვარი იყო ევროინტეგრაციის პროცესში, მიგრაციის სტატისტიკა არ გაზრდილა.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საქართველოს მოქალაქეების მიგრაციამ რეკორდულ მაჩვენებელს 2010-2011 წლებში მიაღწია. 2010 წელს ქვეყანა დატოვა 103 214-მა, ხოლო 2011 წელს – 107 202-მოქალაქემ. „ქართული ოცნების“ პირობებში კი ემიგრაციის 6-ციფრიანი მაჩვენებელი არასდროს აღრიცხულა.

ეს მარტივი სტატისტიკაც კი მეტყველებს, რომ ეს „ნაციონალური მოძრაობის“ მორიგი ტყუილია. მეტიც, სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, როდესაც უცხო ქვეყნის ვიზის მოპოვება საკმაოდ რთული იყო, ადამიანები უამრავი რისკის ფასად, ტოვებდნენ სამშობლოს და გაურბოდნენ გაუსაძლის პირობებს, ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ არალეგალურად.

დღეს კი, როდესაც საქართველოს მოქალაქეებს ევროპაში 3 თვის მანძილზე უვიზოდ და სრულიად ლეგალურად შეუძლიათ ცხოვრება, ქვეყნიდან უფრო ნაკლები ადამიანი გაედინება. თუმცა მიგრაცია კვლავ პრობლემად რჩება და ჩვენი ძალისხმევა აქეთკენაც უნდა იყოს მიმართული, რომ სულ უფრო ნაკლებ ქართველს უჩნდებოდეს ქვეყნის დატოვების სურვილი?

2

რუსმა დიპლომატებმა „დეტალები არ იციან“, ამიტომ, ექიმი კვლავ ტყვეობაშია...

აგრესიული ლიბერალიზმის შემოტევა საქართველოზე

7

როგორ ებრძვიან გალში ქართველობას

8

საყოველთაო ჯანდაცვას ფული აღარ აქვს - მთავრობამ სასწრაფოდ უნდა მოიძიოს თანხა

4

თეა წულუკიანი ჰააგის სასამართლოს თავმჯდომარეს შეხვდა

საქართველოს ვიცე-პრემიერი, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი იუსტიციის სამინისტროს დელეგაციასთან ერთად ჰააგაში იმყოფება. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, თეა წულუკიანი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წევრ სახელმწიფოთა მე-18 ასამბლეაში მონაწილეობს.

ასამბლეის ფარგლებში, მინისტრმა შეხვედრები გამართა ჰააგის სასამართლოს უმაღლესი თანამდებობის პირებთან, სასამართლოს თავმჯდომარე ჩილ ებო-ოსუჯისა და სასამართლოს განმწესრიგებელ პიტერ ლუისთან.

შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა საქართველოსა და ჰააგის სასამართლოს შორის თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. სასამართლოს ხელმძღვანელებმა საქართველოს მთავრობას მადლობა გადაუხადეს საქართველოს მიერ სასამართლოს მხარდაჭერისა და გაძლიერებაში შეტანილი წვლილისთვის. შეხვედრის ფარგლებში მხარეები შეჯერდნენ საზოგადოების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების პროცესში მჭიდრო კოორდინაციის აუცილებლობაზე.

თეა წულუკიანი სიტყვით გამოვიდა ასამბლეის პლენარულ სხდომაზე. მინისტრმა საქართველოს სახელით ჰააგის სასამართლოს წევრი სახელმწიფოების წინაშე გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ჩვენი ქვეყანა მზადაა, წარადგინოს საკუთარი კანდიდატი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლის პოზიციაზე 2020 წელს.

როგორც ცნობილია, მომავალი წლის დეკემბერში ჰააგის სასამართლო ექვს ვაკანტურ ადგილზე მოსამართლეებს სხვადასხვა რეგიონიდან შეარჩევს. საქართველო მოსამართლეობის კანდიდატის წარდგენას აღმოსავლეთ ევროპის კვოტით აპირებს. ჰააგაში ვიზიტის ფარგლებში, იუსტიციის მინისტრი პროკურორ ფატუ ბენსუდასაც შეხვდა.

პარლამენტში ნიკა მელიას ბადრი ბასიშვილი ჩაანაცვლებს

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერ ნიკა მელიას, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლომ „ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმეზე დამნაშავედ ცნო, პარლამენტში, სავარაუდოდ, ბადრი ბასიშვილი ჩაანაცვლებს. ამის შესახებ imedinews-ს „ნაციონალური მოძრაობის“ პრესსამსახურში განუცხადეს.

მათივე თქმით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით მელიას ადგილმონაცვლე ნინო კალანდაძე უნდა ყოფილიყო, თუმცა იმის გამო, რომ „ევროპულმა საქართველომ“ პარტიული ბლოკი დატოვა, ნიკა მელიას ბადრი ბასიშვილი შეცვლის.

ბადრი ბასიშვილი საქართველოს მე-7 მოწვევის (2008-2012) პარლამენტის წევრი, მანამდე კი ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე (2006-2008) იყო. 2004 წელს ის საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სახელწიფო რწმუნებულის აპარატში ქართულ-ოსური კონფლიქტის პრობლემების მოწესრიგების სამსახურის მრჩევლად მუშაობდა. კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ იგი დამნაშავედაა ცნობილი კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით. დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს პარლამენტი.



ზაზა თავაძე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კონკურსს გამოეთიშა

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძე პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართავს და აცხადებს, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად მიმდინარე კონკურსში მონაწილეობაზე უარს ამბობს.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების მოსმენა 23 სექტემბერს დაიწყო.

პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში უკვე მოუსმინეს უზენაესი სასამართლოს უვადო მოსამართლეობის კანდიდატებს: **შოთა გეწაძეს, მერაბ გაბინაშვილს, თამარ ალანიას, მირანდა ერემაძეს, მამუკა ვასაძეს, მაია ვაჩაძეს, თამარ ზამბახიძეს, შალვა თადუმაძეს, ზაზა თავაძეს, ვლადიმერ კაკაბაძეს, გიორგი მიქაუტაძეს, პაატა სილაგაძეს, ნუგზარ სხირტლაძეს, ლალი ფაფიაშვილს, ნინო ქადაგიძეს და ლაშა ქოჩიაშვილს.**

„ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის“...

რუსმა დიპლომატებმა «დეტალები არ იციან», ამიტომ, ეჭიმი კვლავ ტყვეობაშია...

რა გინდა „ბრმა და ყრუ“ ანტირუსიც იყო, მაინც ხვდები, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გასაღები რუსეთშია. ამის შესახებ ჩვენს ტვინგაცხელებულ პოლიტიკოსებს, რომლებსაც რუსეთთან ნორმალურ მეზობლურ ურთიერთობაზე ვერაფერს შეაგნებინებ, დაბეჯითებით, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ არწმუნებენ ჩვენი დასავლელი მეგობრებიც. იმას, რომ რუსეთის ფაქტორი გადამწყვეტია ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების საქმეში, არც თვით რუსეთის ხელმძღვანელობა უარყოფს, მაგრამ დასავლელმა მეგობრებმა თავიანთი გონივრულ მოსაზრებათა ტომებიც რომ მოიშველიონ, აღმოსავლელმა კეთილისმსურველებმა კი — უტყუარი ფაქტები, ყოველგვარი „დარწმუნება“ წყალში იყრება, როდესაც გამოვა, ვთქვათ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელი **პეტრე ტოლსტოი** და შუბლის ძარღვგაწყვეტილი განაცხადებს: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან და ეს ტერიტორიები აღარასოდეს იქნება საქართველოსი და რაც უფრო ადრე გაიგებენ ამას საქართველოში, მით უფრო იოლი იქნება ურთიერთობების დალაგებაო.

როგორც ვხედავთ, რუსმა დიპლომატმა და მოღვაწემ ქვიშის ბაწრის გრეხვას თავი ანება და სათქმელი პირდაპირ თქვა — უიწილბიწილოდ, რუსულად, მუჟიკურად, ისევე, როგორც თავის დროზე ყირიმი გამოაცხადეს ათადან ბაბადან რუსულ მიწად, როგორც ორი სრულმასშტაბიანი ომის შემდეგ ჩეჩნეთი მოგვაფარეს თვალზე რუსეთის განუყოფელ ნაწილად, ანუ ჭრიან ისე, როგორც ხელს აძლევთ.

მშვენივრად გვახსოვს, როგორ გამოაცხადა რუსეთის დუმამ „სამხრეთ ოსეთი“ ჩრდილოეთ ოსეთთან ერთად, როგორც ერთი სახელმწიფო, 1774 წელს რუსეთთან შეერთებულად, როგორ დაუკრა ტაში დეპუტატ სლისკას ამ „ისტორიულ აღმოჩენას“ მთელმა დუმამ. სად იყო მაშინ „დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“, ან 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი!..

ამასთან, ბატონმა პეტრე ტოლსტოიმ ძვალიც გადმოგვიგდო და გვამცნო: ძალიან მიხარია, რომ საქართველო ევროპის საბჭოს თავმჯდომარე გახდა, ეს მას კარგ შესაძლებლობას აძლევს, მოაწესრიგოს ურთიერთობები ევროპის ყველაზე დიდ ძვეყანასთან — რუსეთთანო. ესე იგი, მხარი მოგვცა, აბა, თქვენ იცით, გამოიყენეთ ევროპის საბჭოს თავმჯდომარეობა და დაალაგეთ ურთიერთობა რუსეთთანო, ანუ იძნებ, რამე გამოსტყუოთო.

სადღეისო იკლიკანტურ ვითარებაში, რა უნდა გამოსტყუო ან შეატყუო რუსეთს და რა შეიძლება მოიგო, რა თქმა უნდა, პეტრე ბატონს არაფერი უთქვამს, მხოლოდ მიგვანიშნა, თქვენებურად ითაღლითეთ, იქნებ, რამეს ხელი გამოჰკრათო.

ამ მაღვალაკურმა ტაქტიკამ უფალ ტოლსტოის საშუალება მისცა, დასხლტომოდა ერთ-ერთ ძირითად შეკითხვას, რომლის უეჭველად დასმის აუცილებლობაც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე რუსული დელეგაციის ხელმძღვანელს აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა — საოკუპაციო ძალების მიერ დატყვევებული ქართველი ექიმის ვაჟა გაფრინდაშვილის შესახებ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პ. ტოლსტოიმ „არ იცოდა დეტალები“, მეორეც, „ოკუპირებული ტერიტორიების ტერმინოლოგიით არ ვისაუბრებ“, რადგან აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან“, თქვენი ექიმის საკითხზე სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას უნდა მიმართოთ, რაც შეეხება ადამიანის უფლებებს, ეს საერთო ღირებულებაა საქართველოსთვისაც, სამხრეთ ოსეთისთვისაც, აფხაზეთისთვისაც და რუსეთისთვისაც, მაგრამ კონკრეტული ინციდენტი რომ მოაგვარო, ურთიერთობები უნდა გქონდესო. და შემდეგ, აბა ყური დაუგდეთ: იმისთვის კი, რომ ურთიერთობები გქონდეთ საქართველო-რუსეთს შორის, თუნდაც საპარლამენტო ხაზით, უნდა მოიხადოთ ბოდიში ჩვენი კოლეგის სერგეი გავრილოვის მისამართით განხორციელებული ხულიგნური ქმედებების გამო, რომელიც „ნაციონალების“ მსხვერპლი გახდაო...

და დასკვნა: სანამ ასეთი ბოდიში არ იქნება, ძნელია ლაპარაკი, თუნდაც საპარლამენტთაშორისო დიალოგის გაგრძელებაზეო. ბოლოს, მაინც მაჟორული დასასრული: „დარწმუნებული ვარ, რომ რადგან ისტორიულად საქართველო და რუსეთი მუდამ ერთად იყვნენ, საქართველო არსადაც არ წავა და ისტორიულ პერსპექტივაში კარგი ურთიერთობა გვექნებაო“.

უფრო მზაკვრულად, უფრო ნაჯახურად ცნობილი შავი შოვინისტი კატკოვი ან კიდევ უარესი — პურიშკევიჩი ვერ იტყოდნენ, ხომ ცნობილი მაღვალაკია, ასეთ აშკარა შავრაზმულ განცხადებებს, ალბათ, თვით ჟირინოვსკიც კი მოერიდება, ეს ტოლსტოი კი გადმოდგა და შუაგული ევროპიდან ბრანნწს გვიჩვენებს...

მოკლედ: „ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის!“

სანდრო ალექსიძე

საკაშვილი რომ დაბრუნდეს, ნაცები პირველად „ევროპულ საქართველოს“ დაერევიან

ოპოზიცია საპროტესტო აქციების შეწყვეტას არ აპირებს. ისინი აცხადებენ, რომ მმართველმა გუნდმა არ დაიმსახურა ნორმალური პოლიტიკური ცხოვრება და „ქართული ოცნების“ დეპუტატები, როგორც პოლიტიკური გვამები, ისე მიიპარებიან პარლამენტში პარტიზანულ სხდომებზე დასასწრებად. დემონსტრანტების აზრით, პარლამენტის სხდომების სპეცრაზმით ჩატარებას არანაირი ხიბლი არ აქვს და ისინი ყოველთვის შეუშლიან ხელს დეპუტატებს საკანონმდებლო საქმიანობის შესრულებაში.

როგორ შეძლო ბიძინა ივანიშვილმა მთლიანი ოპოზიციის დარაზმვა მის წინააღმდეგ, პოლიტიკოსი მამებისა და შვილების ერთდროულად გამოყვანა ერთის წინააღმდეგ და, ნებსით თუ უნებლიეთ, ოპოზიციისთვის ე.წ. „სატოპკის აწევა“?! ამის შესახებ ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი საუბრობს:

— ტემპერატურის კლების მიუხედავად, **პოლიტიკური ტემპერატურა აწეულია. „ქართული ოცნების“ მომხრეები ემადლიერებიან სპეცრაზმელებს, რომ მათ მონღოლთა იურტების გაშლას ხელი შეუშლეს, „ოცნების“ მოწინააღმდეგენი კი სპეცრაზმს ნოემბრის სუსხში წყლის ჭავლის გამოყენებაში ადანაშაულებენ და მიიჩნევენ, რომ ბიძინა ივანიშვილი „ბიბლიურ მორალსაც გადავიდა“, რაც მტრის მიმართ გულმოწყალებას გულისხმობს. ოპოზიცია მასშტაბური აქციისთვის ემზადება და იმედოვნებს, რომ 50 ათასი პროტესტანტის გამოყვანა საკმარისია ივანიშვილის წასასვლელად. რა გაგრძელება ექნება ამ სცენარს?**

— ცხადია, მოლოდინი სხვა იყო და სულ სხვა რამ მოხდა რეალურად, მაგრამ პროტესტიცაა და პროტესტიც. ისეთი ვითარებაა მედიაში ატეხილი და რუსთაველზეც ისე ჩანს, თითქოს ქვეყანა იქცევა. სინამდვილეში, ასე არ არის. საარჩევნო სისტემა ეს არის დემოკრატიის ინსტრუმენტი და არა პირიქით, საარჩევნო სისტემა კი არ ქმნის დემოკრატიას, არამედ დემოკრატია ქმნის საარჩევნო სისტემას. ამ ინსტრუმენტს როგორ გამოვიყენებთ, ჩვენზეა დამოკიდებული. ნებისმიერი საარჩევნო სისტემა, იქნება ეს მაჟორიტარული, პროპორციული, შერეული, გერმანული თუ ფრანგული, ყველა მათგანი დემოკრატიულია. ამის გამო ქვეყნის დაქცევა არ ხდება, უბრალოდ, საარჩევნო სისტემა მხოლოდ საბაბია მოვლენების რევოლუციური სცენარის საფარქვეშ განვითარებისთვის. რევოლუციურ სცენარში მონაწილეობა ბევრ ძალას სულაც არ სურს. მოსურნე ძალები ძალიან ცოტაა. ამის მომხრეა მხოლოდ „ნაციონალების“ გარშემო კონსოლიდირებულ ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ბევრნი არ არიან.

— გამოდის, პროპორციულზე უარის თქმით ხელისუფლებამ ოპოზიციას უბრალოდ „ტოპკა აუწია“? პროპორციული სისტემა უკან რომ არ წაეღო ხელისუფლებას, პროტესტანტები მაინც მოძებნიდნენ სხვა საბაბს?

— დიახ, ნებისმიერი საბაბით მოხდებოდა ეს პროცესები. პროპორციულის უკან წაღებით ხელისუფლებამ პლაცდარმი შეუქმნა ოპოზიციას. ამაზე დავა შეიძლება, რომელი საარჩევნო სისტემა სჯობს, მაგრამ ხომ არ შეიძლება, ამას ქვეყანა გადავაყოლოთ? ნებისმიერი საარჩევნო სისტემის პირობებში, თუ საამისო რესურსი და მოსახლეობის მხარდაჭერა არსებობს, შეიძლება, გამარჯვება და ეს 2012 წლის მაგალითმაც აჩვენა.

— 2012 წელს სულ სხვა განწყობა იყო, მთელი ერი იყო დარაზმული სააკაშვილის წინააღმდეგ.

— დიახ და ეს როგორ მოახერხა ბიძინა ივანიშვილმა? სტრატეგიულად რომ შევადაროთ ერთმანეთს, ბიძინამ ეს შემდეგნაირად გააკეთა, მისი ძირითადი სტრატეგია იყო საარჩევნო მობილიზება, არავითარი უკანონობა, არავითარი საპროტესტო აქციები, არავითარი რევოლუციური სცენარი და დესტრუქცია. ის პროცესები თავიდან ბოლომდე კანონის ფარგლებში იყო მოქცეული. დესტრუქციული ქმედებები არ მოდიოდა მაშინდელი ოპოზიციიდან. ახლა კი სურათი განსხვავებულია.

— იმ პერიოდში ბიძგის მიმცემი ის იყო, რომ „შუა არ იყო გაკრეფილი“ პოლიტიკური ისტებლიშმენტი და პლუს ამას, მაშინდელ პროცესებს ბიძინა ივანიშვილის სოლიდური ფინანსები ემატებოდა. დღეს კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთლიანად გაკრეფილნი არიან ე.წ. შუაშისტები? თუ გაერთიანებულ ოპოზიციაში, სადაც წამყვან ძალად „ნაცები“ მოიაზრებიან, მაინც ჩანს მესამე ძალის რესურსი?

— ახლა რთული ვითარებაა. ცხადია, „ქართულ ოცნებას““ ჰყავს ოპონენტები და ძირითადი პოლიტიკური პარტიები „ოცნების“ ოპონენტები არიან, მაგრამ „ნაცების“ წინააღმდეგ „ქართული ოცნება“ კონსოლიდაციას ისევ მოახდენს, რადგან აშკარაა და ამას ბრმაც ხედავს, რომ „ნაცების“ მიზანი არ არის არჩევნები, მათი მიზანი ხელისუფლების დამხობაა. არჩევნების მოგება რომ იყოს „ნაცების“ მიზანი, მაშინ ასე არ მოიქცეოდნენ. ისინი მოიქცეოდნენ ისე, როგორც ბიძინა იქცეოდა 2011 წლის 7 ოქტომბრიდან (პოლიტიკაში შემოსვლის შესახებ განცხადება რომ გააკეთა) 2012 წლის 1 ოქტომბრამდე. მით უმეტეს, „ნაცებს“ დღეს საბაბი გაუჩნდათ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით და შეუძლიათ მოსახლეობის საარჩევნო მობილიზება, მაგრამ ამას არ აკეთებენ, რადგან შინაგანად არიან კანონიერებისა და სამართლიანობის მტრები. თორემ ასეთი შესანიშნავი პირობები აქვთ ახლა, გარკვეული უპირატესობაც კი აქვთ, რადგან „ოცნებამ“ რაც გააკეთა, თავისი სიტყვა უკან რომ წაიღო, რასაკვირველია, „ოცნება“ ამის გამო პასუხს აგებს არჩევნებში. ეს აშკარაა, ასეთი რამ არ ხდება და „ოცნებას“ ამისთვის ფასის გადახდა მოუწევს. „ნაცების“ წინააღმდეგ ისედაც „შუა იყო გაკრეფილი“, უბრალოდ, ამ პროცესებით „ოცნება“ კარგავს რეიტინგს და ორმაგად შეიძლება ეს მოხდეს — ერთი მხრივ, „ოცნების“ ამომრჩეველი გაიმიჯნოს დანარჩენი საქართველოსგან და, მეორე მხრივ, „ნაცების“ ამომრჩეველიც გაიმიჯნოს დანარჩენი საქართველოსგან. ასეთი ვითარება დიდხანს არ გასტანს, რადგან არა მგონია, ის დესტრუქცია, რაც ახლა რუსთაველზე ხდება, დიდხანს გაგრძელდეს.

— ივანიშვილს სანანებლად ხომ არ გაუხდება, „შუა ძალა“ რომ გაკრიფა, რადგან „ოცნების“ საპირწონედ დარჩნენ მხოლოდ „ნაცები“, „ნაცები“ კი აკეთებენ იმას, რასაც შეჩვეულნი არიან, ანუ გამორიცხული არ არის, მუშაობენ კიდეც რევოლუციურ სცენარზე.

— დამიჯერეთ, „ნაცებს“ ნელ-ნელა შემოეცლება მათ მხარეს მყოფი პოლიტიკური ბანაკი. პირველ რიგში, „ევროპული საქართველო“ გაემიჯნება მათ. ნახეთ, თუ ასე არ მოხდეს, რადგან „ევროპულ საქართველოს“ არ აწყობს რევოლუციური სცენარი. სააკაშვილი რომ დაბრუნდეს, „ნაცების“ ხელისუფლება, პირველ რიგში, „ევროპულ საქართველოს“ დაერევა. ბიოლოგიიდან ცნობილია, რომ შიდასახეობრივი დაპირისპირება უფრო მძაფრია, ვიდრე სხვადასხვა სახეობებს შორის დაპირისპირება. „ნაცებიც“ ბიოლოგიური ინსტინქტის დონეზე მოქმედებენ. რომელ პოლიტიკაზეა საუბარი? პოლიტიკა შესაძლებლის ხელოვნებაა, რომელიც ურთიერთთანამშრომლობაზე, პატივისცემაზე, მოსმენაზე უნდა იყოს აგებული, მიუხედავად ინტერესების განსხვავებულობისა. აქ კი პირიქითაა ყველაფერი, რადგან პარტიულ-პოლიტიკური სისტემის დღის წესრიგს ქმნიან დესტრუქციული „ნაცები“.

— თქვენ ბრძანეთ, „ნაცები“, პირველ რიგში, „ევროპულ საქართველოს“ დაერევიანო, მაგრამ სწორედ „ევროპული საქართველო“ დგას მოვლენების ავანგარდში, ახალგაზრდული მოძრაობის გვერდით სწორედ „ევრონაცები“ არიან.

— ეს ყველაფერი დალაგდება. რაღაც მომენტამდე მიიყვანენ ვითარებას და, როდესაც დადგება პრინციპული არჩევანი — რევოლუცია თუ არჩევნები, „ევროპული საქართველო“ არ წავა რევოლუციისკენ. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, რადგან მათ კარგად იციან, რომ ეს დამღუპველი გზაა და მათ არ მოუტანს სიკეთეს, რადგან ავანგარდში იქნებიან ისევ „ნაცები“ და არა „ევროპული საქართველო“. ისევ 2012 წელს მივუბრუნდეთ, იმ პერიოდში რატომ იყო ივანიშვილის გამარჯვება მნიშვნელოვანი? მთავარი მნიშვნელობა ამ გამარჯვებას ჰქონდა ის, რომ ამით დადასტურდა, ხელისუფლება შეიძლება, საქართველოში შეიცვალოს კანონიერად, არჩევნების გზით, ხალხის ნებით. სხვანაირად არასდროს აღარ უნდა მოხდეს საქართველოში.

მანანა ნოზაძე

ნამეტნავად მსუბუქი ხომ არ არის ეს სასჯელი „უფალო მოსამართლევ“?!

ბანკი „ქართუს“ გაკოტრების საქმესთან დაკავშირებით

თბილისის საქალაქო სასამართლო ბანკი „ქართუს“ ხელოვნურად გაკოტრების საქმეზე ბრალდებულების — ზურაბ ადეიშვილისა და ნიკანორ მელიას მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენთან დაკავშირებით, ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს:

„სასამართლომ ზურაბ ადეიშვილი დამნაშავედ ცნო საწარმოში და სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი და სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის მიერ დიდი ოდენობით ქონების გადამალვის ორგანიზება მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებით, მოსალოდნელი და უკვე არსებული ქონებრივი ვალდებულებებისთვის თავის არიდების მიზნით, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ ბრალდების საქმეზე, ასევე ყალბი სხვა საგადასახადო დოკუმენტის, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდი, გამოყენების მიზნით ჯგუფურად დამზადების და გამოყენების ორგანიზების ნაწილში, ასევე სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ სხვისთვის გამორჩენისა და უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც იურიდიული პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

ზურაბ ადეიშვილს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე, დანაშაულთა ერთობლიობითა და შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, საბოლოოდ, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლის და სამი თვის ვადით, მასვე ორი წლით და სამი თვით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

ნიკანორ მელია სასამართლომ საწარმოში და სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი და სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის მიერ დიდი ოდენობით ქონების გადამალვაში დახმარება მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებით, მოსალოდნელი და უკვე არსებული ქონებრივი ვალდებულებებისთვის თავის არიდების მიზნით, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ ბრალდების ნაწილში უდანაშაულოდ ცნო და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა, ხოლო მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებაში ნიკანორ მელია გამტყუნდა და მას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა — 25 000 ლარის ოდენობით. მასვე, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე, დანიშნული სასჯელი თანამდებობის დაკავების უფლება შეუმცირდა ერთი მეოთხედით და საბოლოოდ, ორი წლის და სამი თვის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება“, — ნათქვამია სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲐᲡ ᲤᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ – ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲘᲫᲘᲝᲡ ᲗᲐᲜᲮᲐ

ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ �გᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝ, ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲓ, ᲕᲐᲓᲐᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ ᲐᲛᲝᲘᲬᲣᲠᲔᲑᲐ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲮᲐᲖᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ, 29 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲗ, ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ 754-ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲓᲐᲜ 745.1 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 9 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲗᲐᲜᲮᲐᲐ ᲘᲛᲘᲡ �გᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲗᲕᲔᲨᲘ 69 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲘᲮᲐᲠᲯᲔᲑᲐ.

რათა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბიუჯეტი ვადაზე ადრე არ ამოწურულიყო, საშუალო ყოველდღიური ხარჯვა 2.065 მილიონი ლარი უნდა ყოფილიყო, თუმცა, ფაქტობრივად, ხარჯვა ამაზე მეტს შეადგენდა და 2.277 მილიონ ლარს უტოლდებოდა. შესაბამისად, რათა წლის ბოლომდე დარჩენილი დღეების განმავლობაში პროგრამა შეუფერხებლად არსებობდეს, დაახლოებით 60 მილიონი ლარის დამატება არის საჭირო.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამასთან მიმართებით, ჯანდაცვის სამინისტრო გასული ერთი თვის განმავლობაში კერძო კლინიკების მხრიდან მწვავე კრიტიკის სამიზნედ იქცა. კლინიკების კრიტიკა საქართველოს მთავრობის №520-ე დადგენილებას უკავშირდება, რომლითაც სამედიცინო დაწესებულებებისთვის ტარიფების გათანაბრება მოხდა, თუმცა, როგორც ირკვევა, გათანაბრებული ტარიფები სამედიცინო დაწესებულებების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის თვითღირებულების ხარჯებსაც ვერ ფარავს, რის გამოც ისინი მთავრობისგან ცვლილების დაუყოვნებლივ გადახედვას ითხოვენ.

მთვრობა ამ მხრივ ერთსულოვანია. ჯანდაცვის მინისტრის შეუვალი პოზიციის გარდა, პრინციპულობას იჩენს ფინანსთა მინისტრიც. **ᲘᲕᲐᲜᲔ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ** ამბობს, რომ აღნიშნულ საკითხზე მუშაობის პროცესში ფინანსთა მინისტრის მოადგილეც იყო ჩართული.

„მთავარი მიზანი ეკონომია არ არის, მთავარი მიზანი ის საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის მდგრადობაა. მან უნდა გაუძლოს მრავალ წელს ისე, რომ არ მოხდეს არც ხარისხის ვარდნა და არც შეფერხებები გადახდების საკითხში, რაც შიგადაშიგ გვაქვს ხოლმე. ზოგ შემთხვევაში ჩამორჩენაა კლინიკების მიმართ ანაზღაურების ნაწილში. ამიტომ ეს სისტემა მდგრადი უნდა იყოს.

ამ სერვისზე მოთხოვნა იზრდება, შესაბამისად, აქ უნდა შემოვიტანოთ ისეთი კომპონენტები და ისე უნდა იყოს აწყობილი, რომ, ერთი მხრივ, მაქსიმალურად მოვიცვათ დაფარვა, ვისაც ერგება აღნიშნული სერვისი, ხარისხი შევინარჩუნოთ და გავაუმჯობესოთ კიდეც, მაგრამ ეს იყოს ფისკალურად მდგრადი“, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა. მისი თქმით, ტარიფებთან დაკავშირებით ცვლილება ამას ემსახურება და მისი აზრით, პროექტი წარმატებით წარიმართება.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დამსახურებით დღეს ქუჩაში ადამიანი უფულობის გამო აღარ იღუპება. პარლამენტის ჯანმრთლობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲮᲣᲜᲓᲐᲫᲔ** ამ მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებს დადებითად აფასებს.

„გავზარდეთ წამლით უზრუნველყოფის პროგრამა 10-დან 20 მილიონამდე. ეტაპობრივად მოვახდენთ ქრონიკული დაავადებების უზრუნველყოფას და ასევე, შემდეგი ეტაპი იქნება სხვა დაავადებებისათვის საჭირო პრეპარატებით უზრუნველყოფა, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის. C ჰეპატიტის პროგრამით ჩვენ მსოფლიო ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდით, რადგან ეს არის, პრაქტიკულად, ერთადერთი ქვეყანა, რომელიც თავის მოქალაქეებს ამ პროგრამას სთავაზობს ამერიკელი მეგობრების დახმარებით“, — განაცხადა ხუნდაძემ.

სახელმწიფო მართლაც ბევრს ხარჯავს და ყოველი წლის ბოლო თანხის მხრივ დეფიციტშია. „ბიზნეს მედიას“ ინფორმაციით, 2018 წელს საყოველთაო ჯანდაცვის 713-მილიონიანი ბიუჯეტი ვადაზე ადრე ამოიწურა, რის შემდეგაც ჯანდაცვის სამინისტრომ საკუთარი შიდა რესურსების გადაჯგუფებით პროგრამას ბიუჯეტი გაუზარდა და მთლიანობაში პროგრამის ხარჯვამ 760 მილიონი ლარი შეადგინა.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბიუჯეტი 2017 წელსაც ვადაზე ადრე ამოიწურა, რის გამოც სახელმწიფომ პროგრამის გადასარჩენად 40 მილიონის სახით დამატებითი ფინანსური რესურსი გამოყო. მთავრობას საყოველთაო ჯანდაცვის ბიუჯეტი არც 2016 და 2015 წლებში ეყო. 2016 წლის 7 ნოემბერს პროგრამის 570-მილიონიანი ბიუჯეტი ამოიწურა, რის საპასუხოდაც ჯანდაცვის სამინისტრომ მას საკუთარი შიდა რესურსების გადაჯგუფებით 35 მილიონი ლარი დაუმატა. დამატებული 35 მილიონი 12 დეკემბერს ამოიწურა, რის გამოც ჯანდაცვის სამინისტრომ მას კიდევ 18 მილიონი ლარი დაუმატა.

ᲔᲙᲐ ᲒᲐᲫᲠᲐᲫᲔ

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲖᲝᲘᲫᲔ: ᲩᲔᲛᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ

ᲩᲔᲛᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲐ, ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ, — ამის შესახებ დეპუტატი აკაკი ზოიძე „ფეისბუქზე“ წერს.

როგორც ზოიძე აღნიშნავს, ერთგული რჩება იმ ფასეულობების, რომლის გამოც შეუერთდა „ქართულ ოცნებას“ 2016 წელს, ასევე უსურვებს თანაგუნდელებს, რომ ბოლომდე შეინარჩუნონ ეს ფასეულობები. ზოიძის თქმით, მზად არის, გვერდში ამოუდგეს მათ ქვეყნისთვის სასიკეთო ნებისმიერ საქმეში.

ზოიძე მადლობას უხდის კოლეგებსა და მეგობრებს, ვისთან ერთადაც საქართველოს პარლამენტში სამი წელი გაატარა.

მანამდე კი ზოიძემ პარლამენტის დატოვების შესახებ განცხადება ჟურნალისტებთან გააკეთა. მისი პოლიტიკიდან წასვლა კენჭისყრაზე პროპორციული საარჩევნო სისტემის ჩაგდებას უკავშირდება.

„ორი კვირის წინ ვთქვი, რომ პრაგმატული პოლიტიკის გონებით მესმის, მაგრამ გულით არა. ხოლო უგულოდ არც ერთი საქმის კეთება კარგად არ გამოსდის ადამიანს, მათ შორის პოლიტიკის. მით უმეტეს, როდესაც პოლიტიკური პროცესი მკვეთრად პოლარიზებულია, რაშიც ჩემ წილ პასუხისმგებლობასაც ვგრძნობ. პასუხისმგებლობას, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ ვერ შევძელით კოლეგების ნაწილის დარწმუნება, რომ მიუხედავად გარკვეული რისკებისა, 2020 წელსვე პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა პოლიტიკის კონსტრუქციულ კალაპოტში გადასვლას და ქვეყნის სტაბილურობის შენარჩუნებას უზრუნველყოფდა, ისევე როგორც მტკიცედ მჯერა, რომ ამავე შედეგს მოგვიტანდა ამ თემაზე რეფერენდუმის, ან პლებისციტის ჩატარება, რაშიც ასევე ვერ შევძელი ჩემი თანაგუნდელების დარწმუნება.

იმის გათვალისწინებით, რომ პოლიტიკა ჩემთვის ყოველთვის იყო მხოლოდ საშუალება მიზნის მისაღწევად — ანუ ქვეყნისთვის და ჩვენი მოქალაქეებისთვის სასიკეთო საქმეების საკეთებლად, ხოლო ნეგატიური პოლიტიკური დღის წესრიგის პირობებში პოზიტიური რეფორმების გატარება, ჩემი აზრით, ნაკლებ სავარაუდოა. ჩემს ადგილს დღევანდელ საჯარო, პარტიულ პოლიტიკაში და, შესაბამისად, პარლამენტში ვეღარ ვხედავ“...

ᲐᲮᲐᲚᲒᲝᲠᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲡᲐᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲝ ᲮᲐᲖᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲐ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ

ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ Ე.Წ. ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲐᲮᲐᲚᲒᲝᲠᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲡᲐᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲝ ᲮᲐᲖᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲐ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ. ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲙᲝᲛᲘᲜᲤᲝᲡᲗᲐᲜ“ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ Ე.Წ. ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲑᲘᲑᲘᲚᲝᲕᲛᲐ �გᲐᲛᲐᲠᲗᲐ.

მარიონეტული რეჟიმის გადაწყვეტილებით, ოკუპირებულ ახალგორში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც არც სამხრეთ ოსეთის და არც რუსეთის მოქალაქეობა არ აქვთ და გადაუდებელ სამედიცინო და მაღალტექნოლოგიურ დახმარებას საჭიროებენ, ოკუპირებული საზღვრის გადაკვეთის და საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებულ ტერიტორიაზე გადასვლა შეეძლებათ. ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. ხელისუფლებამ ასევე მიიღო გადაწყვეტილება, შეიქმნას პირობები, რომ ახალგორის მოსახლეობამ, რომლებსაც არც სამხრეთ ოსეთის და არც რუსეთის მოქალაქეობა არა აქვთ, საპენსიო ფონდში დარეგისტრირებამდე პენსია მიიღონ.

3 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲦᲔᲐ

3 **ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ**, 16:30 საათზე, თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართება, რომლის ფარგლებშიც დამსწრე საზოგადოება იხილავს პროექტის „მე შემიძლია!“ გამოფენას სახელწოდებით „ჩემი საყვარელი პარასპორტი, ტოკიო 2020 პარალიმპურ თამაშებზე, რომლის მიზანი მოზარდებში პარასპორტის პოპულარიზაცია და ცნობიერების ამაღლებაა. ღონისძიების ფარგლებში გაიმართება საუკეთესო ნამუშევრის ავტორის დაჯილდოვების ცერემონიალი. 17 საათზე ჩატარდება მჯდომარე ფრენბურთის საერთაშორისო ტურნირის გახსნის ცერემონიალი და ახალი სპორტის სახეობის Paratecvoly პრეზენტაცია. საქართველოს პარალიმპურ კომიტეტს, უნგრეთის მჯდომარე ფრენბურთის ფედერაციის წარმომადგენელი საჩუქრად გადასცემს Paratecvoly-ის მაგიდას.

შედგება საჩვენებელი მატჩი საქართველოსა და უნგრეთის მჯდომარე ფრენბუთის გუნდებს შორის.

პოლიტიკურ-ზნეობრივი იდიოტიზმი

მაგრად სდეძ, პაატა!

აუღელვებლად შეუძლებელია, გაეცნო პაატა ბურჭულაძის ამ მიმართვას.

ჰოდა, მის პასუხად და საზოგადოების, ასევე, მმართველი ძალის (რომელსაც მხარს ვუჭერ) გასაგონად ვიტყვი:

ყველაფერი იქნება კარგად!!! ეს კონცერტიც და სხვა მრავალიც ჩატარდება ოვაციებით, „იავნანა“ კვლავაც გააგრძელებს ნაყოფიერ საქმიანობას!!!

დღემდე არსებული გაუგებრობა და მისგან გამომდინარე „აბდაუბდა“ გაირკვევა, დალაგდება, ორივე მხარიდან დაშვებული შეცდომები (შეგნებული თუ ცილისმწამებლური, შურიანების ჩაფიქრებული თუ გამოუცდელობით მომხდარი) გამოსწორდება და საბოლოოდ არავითარი ლაქა არ მოეცხება „იავნანას“ დიდებულ იდეას და მის სულისჩამდგმელს.

პაატა, ჩემო ორმოცი წლის მეგობარო და ტელეკოლეგავ, კვლავაც აკეთე შენი საქმე ისე, როგორც ეკადრება მსოფლიო ბენ და რომლის შუაგულშიც ყველას გასაკვირად მოხვდი შენი გულწრფელობით და, ცოტა არ იყოს, მიამიტობით, მიხედავენ მასში „გამობრძმედილი“, მუდმივად „მოცურავე“ და „მოტივტივე“ ტიპები, რომლებიც, მეჩვენება რომ ცდილობენ, გამოიყენონ შენი, შენნაირი ავტორიტეტული ადამიანების სახელი და გამოუცდელი, სუფთა, ალალი ახალგაზრდების გულწრფელი პატრიოტული გრძნობები, რა თქმა უნდა, თავიანთი(!) მიზნების განსახორციელებლად (ეს ცალკე თემაა).

საქართველოს პროკურატურისგან კი საზოგადოებამ პრინციპულად უნდა მოითხოვოს, დროულად და საბოლოოდ დაუსვას წერტილი ჯერ კიდევ ჭკუათხელი შოთაძის და მისი „რაზმის“ მიერ საეჭვო რეპუტაციის მქონე ტიპაჟის „გამიზნული დასმენით“ დაწყებულ ე.წ. „საქმეს“.

ეს „საქმე“, ალბათ, ერთ-ერთია, რომელიც აგებულია ნაწილობრივ ჭორებზე, ზოგჯერ, უნებლიეთ(!) დაშვებულ ბუღალტრულ შეცდომებზე, შემდგომ კი გაგრძელებულ-„გასერიოზებული“ და გახმაურებულია აშკარად, პრიმიტიულ-მლიქვნელური „მოტივაციით“, შეფერილია პოლიტიკური კონიუნქტურით და საბოლოოდ ჩამოყალიბებულია მასშტაბურ სიბრიყვედ.

ვიმეორებ, პროკურატურის ზოგიერთი გონებაშეზღუდული, ნაღდი თუ „ბლეფი“ დიპლომის მქონე „ბოსის“ მორიგ(!), ბოლომდე გაუაზრებელ- გაუთვლელ აქტიურობას, შეეძლო მოეტანა და მოიტანა კიდეც მხოლოდ უკიდეგანო ზიანი: დამუხრუჭდა უნიკალური საქველმოქმედო პროექტი „იავნანა“, მასთან ერთად შეილახა მისი დამფუძნებლის რეპუტაცია, ბზარი გაუჩნდა ამ უკეთილშობილეს საქმეში მსოფლიო სახელის მქონე ხელოვანთა უანგარო მონაწილეობის პრაქტიკას, დაზარალდა ქვეყნის პრესტიჟი.

ეს არის შედეგი პროკურატურის იმ ფაფხურისა, რომელიც უნდა შეფასდეს როგორც... პოლიტიკურ -ზნეობრივი იდიოტიზმი.

პაატა ბურჭულაძე, ისევე, როგორც ნებისმიერი ჩვენგანი და, მით უმეტეს, ხელოვანი, ყოფით ცხოვრებაში , რა თქმა უნდა, უშეცდომო, ფრთიანი ანგელოზი არ არის. ვეებერთელა საქველმოქმედო პროექტის მენეჯმენტი, ბუღალტერია, გადასახადები და ა.შ., საოპერო სცენა არ არის, რომლის ყველა სანტიმეტრი ყმაწვილკაცობიდან ისეთი ნაცნობია, რომ თვალდახუჭულმა შეუძლია, იაროს.

რამდენიმე დღე მოვანდომე „იავნანას“ საქმიანობის შესწავლას, მისი გაკეთებული სიკეთეების გააზრებას და...

მივედი იმ დასკვნამდე, რომ პაატა ბურჭულაძეს და მის გვერდით მდგომ მცირერიცხოვან უერთგულეს და უანგარო გუნდს დააბრალო მამალი კორუმპირებულობა, ფულზე დახარბება, ბავშვებისთვის განკუთვნილი და მათთვის შემოწირული თანხების გაფლანგვა და პირადი მიზნებისთვის მოხმარება, ალბათ, გახლავთ უტვინობა, სიბეცე, ელემენტარული პროვოკაცია, რომლის ჩამფიქრებელ- განმხორციელებლების სამიზნე მსოფლიო ბანი კი არ იყო, არამედ, „ქართული ოცნება“!!!

ეს ახლა, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ფონზე თანდათანობით აშკარა ხდება.

ვიმეორებ: პროკურატურის ზერელობამ და სიყეყეჩემ, ცილისმწამებელთა(!!!) პროფესიულმა „ოსტატობამ“, ისევე, როგორც მავანის პოლიტიკურმა გამოუცდელობამ, ხელი შეუწყვეს ბუზიდან სპილოს შექმნის პროცესს, რამაც გარკვეულწილად ზიანი მოუტანა არა მარტო საამაყო პიროვნების რეპუტაციას, არამედ მთელ საზოგადოებას და, უწინარესად, ავნო მმართველ ძალას, რომელსაც პროკურატურაში ჯერ კიდევ დარჩენილი „რევანშისტები“ და „პროვოკატორები“ აწვდიდნენ და, ვვარაუდობ, რომ დღემდე(!) აწვდიან მცდარ, აშკარად გაზვიადებულ ნეგატიურ ინფორმაციას.

მაგრამ, სიმართლე და ობიექტურობა არ დაიკარგება. მოახლოვდა ამ „სეირისთვის“ წერტილის დასმის დრო.



ეჭვიც არ მეპარება, რომ ფონდი „იავნანა“, ანუ პაატა ბურჭულაძე არამცთუ იყო და არის, არამედ კვლავაც იქნება საქართველოს სიამაყე.

ნუგზარ ფოფხაძე

პაატა ბურჭულაძე:

ფონდმა „იავნანამ“ ახალი თაობის მუსიკოსებთან ერთად ახალი სიცოცხლე შეიძინა და უამრავი უსამართლობის მიუხედავად, მაინც აგრძელებს თავისი საქმის კეთებას. განსაკუთრებული მადლობა მინდა, ვუთხრა ნიკოლოზ რაჭველს, რომელმაც ეს პატარა ვუნდერკინდი აღმოაჩინა და ჩვენც გაგვაცნო. „იავნანა“ არ მოაკლებს მას მზრუნველობას. რაც მთავარია, კონსერვატორიის დარბაზის დიდ სცენაზე ცოტნე 28 დეკემბერს პირველ სოლო-კონცერტს გამართავს, ყველაფერი ისე გადავაწყვე, რომ ჩამოსვლა მომეხერხებინა, რადგან ამ საღამოს გამოტოვება არ შეიძლება და თქვენც იმავეს გირჩევთ.

უიმედობის უფლება არა აქვს იმ ქვეყანას, სადაც ასეთი ტალანტები იბადებიან, 10 წლის ცოტნე ზედგინიძესთან ერთად გაუმარჯოს ნიჭიერ, კეთილ, სამართლიან, ძლიერ და ერთიან საქართველოს!

29 ნოემბერი

საქართველოს საელჩო ლევილის მამულში გადავა?!

საქართველოს პარლამენტმა მთავრობას პარიზში საქართველოს საელჩოს ლევილის მამულში გადატანის რეკომენდაციით მიმართა. ამის შესახებ აღნიშნულია „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე საქართველოს პარლამენტის მიერ გამოთქმულ რეკომენდაციებში.

„ჩვენი ქვეყნის საელჩოს საფრანგეთში არ გააჩნია საკუთარი შენობა, შესაბამისმა უწყებებმა განიხილონ შესაძლებლობა: მემორიალური ცენტრის პარალელურად, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა განთავსდეს ლევილის მამულში.

ამ შემთხვევაში ლევილის მამულს ექნება არა მხოლოდ დიდი კულტურულ-ისტორიული, არამედ პოლიტიკური დატვირთვაც ქართული სახელმწიფოსათვის ევროპაში“, — ნათქვამია პარლამენტის რეკომენდაციაში.

რეკომენდაციის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ საელჩოს დედაქალაქის გარეთ განთავსების საკითხი განსაკუთრებულ ლოგისტიკურ მოთხოვნებთან არის დაკავშირებული.

ლევილის მამული საქართველოს 2016 წლის სექტემბერში გადმოეცა.

ხათუნა ხოფერია: „თქვენ მოკალით ძერა“?!

ყოფილი პარლამენტარი **ხათუნა ხოფერია** სოციალურ ქსელში მეტად საინტერესო პოსტს აქვეყნებს:

„თქვენ მოკალით ძერა?

ასე, დავდივარ მთელი დღე და მინდა, ვიპოვო ადამიანი, რომელსაც გაფართოებული თვალებით ვკითხავ — თქვენ მოკალით ძერა?...

მაინც, რა იყო ეს ააა?! ვინ შეძლო ამ 22 თუ 32 იდიოტის 100%-ით დარწმუნება, რომ თუ გაერთიანდებოდნენ, ქუჩაში დაეყრებოდნენ, „პოდრუჩკით“ რუსთაველზე გაივლიდნენ, ბიძინას შეეშინდებოდა და წავიდოდა...

ვინ იყო ასეთი სანდო და ავტორიტეტული პიროვნება, რომელმაც გარდაუვალი, გარანტირებული მომავლის პროგნოზი გააკეთა და ეს 22 თუ 32 ამბიციური ავადმყოფი ნაცების დაბრუნებაში დაარწმუნა?!

ვინაა ის, ასეთი ძლიერი, სანდო და პოლიტიკური სპექტრის ზედმიწევნით მცოდნე?! როგორ შეძლო ასეთი იუველირული სიზუსტით ყველას ერთად შეკრება, გაბანძება, გამასხარავება და დასამარება!

ბრავო, ძმაო, შენ!

შენ ყოფილხარ კაცი!

ისე, თუ ოდესმე სადმე შემხვდები, ყურში მითხარი, რომ შენ მოკალი ძერა...“

მყეფარა პოლიტიკოსები

ამას წინათ, პარლამენტში ატეხილი მორიგი ალიაქოთისას, ნაცდეპუტატმა სალომე სამადაშვილმა მისთვის ჩვეული კდემამოსილებით, იენაკვიმატა და „ქართული ოცნების“ დეპუტატებს „ივანიშვილის გოშიები“ უწოდა. სხვები გაჩუმდნენ, მაგრამ დეპუტატმა ზვიად ძიძიგურმა „გოშიობა“ რატომღაც იუკადრისა და კოლეგას არც თუ ალერსიანად მიმართა: ქალბატონო სალომე, მე რომ ახლა თქვენ „სააკაშვილის პუდელი“ გიწოდოთ, მოგეწონებოდათო?

ვერ გეტყვით, ქალბატონი სალომე გუნებაში დათანხმდა თუ არა სააკაშვილის პუდელობას, მაგრამ ეს ფაქტი გაზეთ „ასავალ-დასავალიდან“ ჩემმა კოლეგა ჯაბა ხუბუამ უმალ აიტაცა და ოპერატიულად გამოქვეყნებული სტატიით („სააკაშვილის პუდელი“), ნაცდეპუტატი შერქმეული სახელის სისწორეში რომ არ დაეჭვებულიყო, დროულად გაამხნევა: მართალია, ძიძიგურმა სამადაშვილს სააკაშვილის პუდელი უწოდა და თან თითქოს არც უწოდა, მაგრამ პოლიტიკური გაგებითა და მნიშვნელობით სამადაშვილი მართლაც იმსახურებს სააკაშვილის პუდელობასო.

ჰოდა, რადგან იმსახურებს, ჯაბამ, მისთვის ჩვეული ოსტატობით, ნაცდეპუტატი რა ეპითეტებით აღარ შეამკო. სტატიაში ვკითხულობთ: **„სააკაშვილის პოლიტიკური პუდელი სალომე სამადაშვილი, ერთობ ხმაურიანი მოდარაჯეა, რომლის პოლიტიკურ ყეფასაც მთელი ქვეყნის ყურთასმენა მიაქვს. ის ყველანაირად ცდილობს, გაქცეული პატრონის დანატოვარი პოლიტიკური მემკვიდრეობა დაიცვას და ხელშეუხებლად დაახვედროს იმავე პატრონს, რომლის დაბრუნების იმედიც მუდმივად აქვს. ყეფს და ყეფს, რათა ნაცმოძრაობის მომხრეებს შეახსენოს, რომ მათი სექტა არ დაშლილა, პოლიტიკურ სიცოცხლეს აგრძელებს და ხელისუფლებაში დასაბრუნებლად იბრძვის“.**

აი, 2019 წლის 20 ივნისის ღამესაც, პარლამენტის შენობაში მყოფი სააკაშვილის პუდელი სამადაშვილი თურმე ყეფდა და ბანს აძლევდა შენობის გარეთ შეყრილ ნაცნაგაზებს, რომლებიც სააკაშვილმა ქართულ სახელმწიფოს მიუქსია. თუმცა, ამ ყეფამ, სტატიის ავტორის აზრით, ერთგვარად ხალხის გამომაფხიზლებელი როლიც შეასრულა და ქვეყანას ამ გაგებით რაღაც სარგებელიც მოუტანა. ასე რომ, რაც უფრო მეტს იყეფებს სააკაშვილის პუდელი, მით უკეთესია — ხალხი არ მოდუნდება და ნაცრევანშს არ დაუშვებს.

აქ თითქოს წერტილის დასმაც შეიძლებოდა, მაგრამ მაპატიოს მკითხველმა, თუ წერილს ერთი ხელის მოსმით ვერ დავასრულებ. მით უფრო, როცა შევიტყვე, პარლამენტში სრული სერიოზულობით განიხილება კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც ძაღლის ყეფა დასჯადი გახდება და მისი პატრონი 50 ლარით დაჯარიმდება. ჰოდა, მე ვაყენებ საკითხს — თუ ძაღლის ყეფა დაისჯება, რატომ არ უნდა დაისაჯოს პოლიტიკოსების ნერვების ამწეწი ყეფა? ძაღლების ყეფამ შეიძლება ბევრი-ბევრი ქუჩაში გამვლელები ან მეზობლები შეაწუხოს, აი, მყეფარა პოლიტიკოსები კი თავიანთი გაბმული ყეფა-ყმუილით მთელ ქვეყანას აწუხებენ. ამის დასტურად დავასახელებდი თუნდაც ხმამყივარ კაკოია დეპუტატს, რომლის ერთი რიხიანი შეყეფაც კი პარლამენტის მთელ შენობას მიწისძვრასავით აზანზარებს. კაკოიასთან შედარებით შეიძლება ლეკვის წკავწკავად მოგეჩვენოთ კუპონა რომანია დეპუტატის ყეფა, მაგრამ საზოგადოებას ტელეეკრანიდან ისე ხშირ-ხშირად უწევს მისი მოსმენა, რომ უკვე მომაბეზრებელი ხდება და როცა დეპუტატთა ყეფა-ყმუილი ძიძგილაობა-გარტყმა-გამორტყმაში გადაიზრდება, აი, მაშინ ხდება სპექტაკლი ნამდვილად უზადო საყურებელი(!)

ამ ყველაფერს მარტო სპექტაკლად რომ აღვიქვამდეთ, ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, მაგრამ ეს ჩვენი მომსახიობო მყეფარა პოლიტიკოსები თურმე ამასთან ერთად ფრიად საშიშნიც ყოფილან. ჯაბა ხუბუა ამის თაობაზე აკი გვაფრთხილებს კიდეც, სააკაშვილის პუდელი სამადაშვილი **„ყეფის დროს ისე იღრიჯება, ეკრანზე თუ უყურებ, შესაძლოა, ჯოხიც მოიმარჯვო — ტელევიზორიდან არ გადმოხტეს და კბილებით არ ჩამაფრინდესო“**. ჯაბა აღარ ამბობს, არ უნდა ნამეტანი შეგვაშინოს, თორემ ის პუდელი ხომ შეიძლება ცოფიანი იყოს და თუ დაგვკბინა, გაგვაცოფიანოს კიდეც. ჰოდა, თუ ცოფი გადაგედო უპოლიტიკოკაცს და პოლიტიკური ყეფა დაგაწყებინა, მერე სად გარბიხარ?!

ამიტომ დაბეჯითებით მინდა, ვურჩიო პარლამენტარებს, რადგან არ იშლიან და ძაღლების ყეფის დასასჯელ კანონპროექტს განიხილავენ, არ დაიზარონ და ზედ პოლიტიკურ მყეფართა დასჯის საკითხიც მიაყოლონ, თორემ თუ ეგენი თავის ნებაზე მივუშვით, ხომ ვხედავთ, რა ყეფა-გნიასი აქვთ ატეხილი სახელმწიფო ინსტიტუტების დამბოქლომებელი აქციების ორგანიზატორ ნაცლიდერებს — ვაშაძეებს, უგულავებს, ბოკუჩავებს და სხვა მისთანებს. რაღა თქმა უნდა, კანონმდებლებმა სასჯელის ზომის განსაზღვრისას მყეფარე ძაღლების დანაშაული მყეფარე პოლიტიკოსების დანაშაულთან არ უნდა გაათანაბრონ. ამ უკანასკნელთ შესაფერისი პატივი უნდა სცენ და ჯარიმის ნაცვლად, ვირის აბანოს საგზური გამოუწერონ. აბა როგორ, ძაღლებისა და პოლიტიკოსების ყეფა, რაც უნდა ერთმანეთს ჰგავდეს, ისინი სასჯელის რაიმე ფორმით ხომ მაინც უნდა განვასხვავოთ!



ოთარ ხუციშვილი

კვირიკაშვილ-მარგველაშვილს, სავარაუდოდ, ახალ ალიანსში ვიხილავთ!

პოლიტიკის ექსპერტი მამუკა არეშიძე „2020NEWS“-თან აცხადებს, რომ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირკაშვილი და ყოფილი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, შესაძლოა, საზოგადოებრივი მოძრაობა „ლელოს“, „ახალი მემარჯვენეებისა“, და „შენების მოძრაობის“ გაერთიანებაში ვიხილოთ.

„გიორგი მარგველაშვილსა და გიორგი კვირიკაშვილს, სავარაუდოდ, ამ პარტიების ალიანსში ვიხილავთ. თუმცა ამ ალიანსში კვირიკაშვილ-მარგველაშვილის ყოფნა განსაკუთრებულ პოლიტიკურ ამინდს ვერ შექმნის. ფიქრია ჩიხრაძეს უფრო მეტი პოლიტიკური გზა აქვს გავლილი, ვიდრე მათ“, — განაცხადა მამუკა არეშიძემ.

ამასთან, როგორც მამუკა არეშიძემ თქვა, საზოგადოებრივი მოძრაობა „ლელოს“, „ახალ მემარჯვენეებსა“ და „შენების მოძრაობის“ გაერთიანების საბაზისო მდგომარეობა საინტერესოა.

„ეს არის ცენტრისტული პარტიების ალიანსი. მათ ჰყავთ წელში გამართული ლიდერი დავით უსუფაშვილის სახით. ფინანსური თვალსაზრისით „ლელო“ ძლიერია. ასე რომ, ამ გაერთიანების საბაზისო მდგომარეობა საინტერესოა“, — განაცხადა მამუკა არეშიძემ.

ტერიტორიიდან განრიდებას ციხეში ჩაყუდება სჯობს!

მცხეთაში, დეპუტატ დიმიტრი ხუნდაძის სამაჟორიტარო ბიუროსთან მიმდინარე აქციის დროს სამართალდამცველებმა რამდენიმე ადამიანი გუშინ ტერიტორიიდან გაიყვანეს.

როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, ისინი ტერიტორიიდან განარიდეს.

მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროსთან ოპოზიციური პარტიის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებმა ძალადობრივი აქცია გამართეს.

როგორც ისინი აცხადებდნენ, დიმიტრი ხუნდაძეს 41 ვერცხლი მოუტანეს. „მოვიტანეთ 41 ვერცხლი, რომ დიმიტრი ხუნდაძე გამოვისყიდოთ“!..

ბიუროს თანამშრომლებსა და ადგილობრივებს შორის ფიზიკური დაპირისპირებაც მოხდა.

30 ევროპული სახანძრო მანქანა სპეციალურად საქართველოსთვის!

გერმანიაში, ქალაქ ულმში, კომპანია „მაგირუსის“ ქარხანაში დასრულდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის განკუთვნილი, თანამედროვე, ევროპული სტანდარტის სახანძრო ავტომობილების დამზადება. „მაგირუსის“ ფირმის სახანძრო ტექნიკა მანევრულობით, მაღალი გამავლობითა და მობილურობით გამოირჩევა. გერმანული ხარისხის წარმოება მორგებულია იმ მოთხოვნებზე, რაც საქართველოს პირობებშია საჭირო.

სახანძრო მანქანები შექმნილია სპეციალურად საქართველოსთვის. ისინი აღჭურვილია მაღალი და დაბალი წნევის ტუმბოთი, აქვს 4,5- ტონიანი წყლის ავზი და 300-ლიტრიანი ქაფის ავზი. მანქანებში, ასევე, დამონტაჟებულია ყველა საჭირო სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობა. ის სრულად ავტომატიზებულია, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მისი მექანიკური მართვა. „მაგირუსის“ სახანძრო ტექნიკა განთავსებულია „ივეკოს“ ფირმის საავტომობილო შასზე. 30-ვე სახანძრო მანქანამ გერმანიაში უკვე გაიარა სრული ინსპექტირება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თეიმურაზ მღებრიშვილი ტესტირებას პირადად ესწრებოდა. იგი ახალი სახანძრო მანქანის შესაძლებლობებს გაეცნო, ასევე, შეხვედრები გამართა კომპანია „მაგირუსის“ წარმომადგენლებთან.

შეხვედრებზე მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.

მანქანების საქართველოში ჩამოსვლამდე, გერმანელი ინსტრუქტორების დახმარებით, ქართველი მეხანძრე-მაშველები სპეციალურ გადამზადებას გაივლიან. ახალი, ევროპული სტანდარტის ტექნიკა მუნიციპალური სახანძრო მანქანებია. მათ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მთელი საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა ქალაქში გადაანაწილებს.

აგრესიული ლიბერალიზმის შემოტევა საქართველოზე

ვუძღვნი ჩემს მეგობარს დათო ფურცხვანიძეს

1925 **წელს** გერმანიაში კ. ბიოკის ავტორობით გამოიცა წიგნი (Christian Boeck, Kritische Selbsthilfe, Hamburg 1925), რომელიც მკითხველს დახმარების ხელს უწვდის, რათა გაარჩიოს კარგი წიგნები ცუდისა და მავნესგან. ამ დროს იგი ხაზს უსვამს, რომ გერმანული ეროვნული სული დიდ საშიშროებაში იმყოფება: გარე საშიშროებას წარმოადგენს გერმანიის პოლიტიკური მდგომარეობა, საშინაოს — უცხო სულის ზეგავლენა, რომელმაც ჩვენში საგანგაშო ძალას მიაღწიაო.

კაცმა რომ თქვას, რა შედარებაა 2019 წლის საქართველოსთან, რომელსაც, მრავალმილიონიან გერმანიასთან შედარებით, ამ მხრივ, სრული გასრესა ემუქრება. რასაკვირველია, ეს მუქარა მომდინარეობს მძლავრი ლიბერალიზმის (ანუ აბსოლუტური თავისუფლების) მიმდევარი წრეებიდან, რომლებიც დასავლეთში არიან ფესვგამდგარნი. ამის თაობაზე არაერთი ჩვენი პატრიოტის წერილი წამიკითხავს, თვით ისიც, თუ როგორ მანიპულირებენ ისინი ჩვენს პატარა ქვეყანაში ფულის მეშვეობით. ყოველივე ეს ჩემთვის ცნობილია და ამის გამეორებას აქ არ ვაპირებ. ჩემი მიზანია მხოლოდ ასეთი ლიბერალიზმის შინაგანი არსების ჩვენება, რის მერეც ლიბერალიზმს, ანუ აბსოლუტური თავისუფლებისადმი სწრაფვას, ნიღაბი უნდა ჩამოშორდეს.

ამ დროს, ასეთი ლიბერალებისა და ასეთი აგრესიული ლიბერალიზმის გამოვლინებების საფუძველი ათეიზმია. ავტორი დიდი შრომისა „სეკულარული საუკუნე“ ჩარლზ ტეილორი (Charles Taylor, A Secular Age, London 2007), ასე გადმოსცემს ათეისტური საზოგადოების ამ მდგომარეობას:

„ჩვენ არ ვიცით, რა მოვუხერხოთ სიკვდილს და ამიტომ ვცდილობთ, ნაკლები ვიფიქროთ მასზე, განვდევნით მასზე ფიქრს ჩვენგან, რაც შეიძლება შორს“.

მე-20 საუკუნის გამოჩენილი ფილოსოფოსი ალექსეი ლოსევი, როდესაც ეხება აღორძინების ეპოქას, ხაზგასმით აღნიშნავს:

„არსად არავის არ უარუყვია ღმერთი უბრალო უარყოფის გამო. ამას ყოველთვის აკეთებდნენ ლიბერალები, მაგრამ მოგვიანებით დავამტკიცებ, რომ ამ წმინდა უარყოფაში ლიბერალიზმის **სიცოცხლისეული** არსია, ასე რომ, აქაც არ იყო ეს უბრალო თეორია. ღვთის უარყოფას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც ადამიანს თავად სურს, გახდეს ღმერთი... სატანა უცბიერესი პოლიტიკოსია და უგენიალურესი დიპლომატი. ღმერთზე თავდასხმის გეგმა მას დამუშავებული აქვს უწვრილმანესი დეტალებით... ვითხოვთ მხოლოდ ერთ უმნიშვნელო რამეს: **აღიარეთ, რომ თქვენ გაქვთ არსებობის უფლება... ქრისტიანი** (განსაკუთრებით, შუა საუკუნეების, განსაკუთრებით — ბიზანტიურიც) **თავს იაზრებს ისე, რომ მას არავითარი უფლება არ გააჩნია არსებობაზე**. ქრისტიანი თავს იაზრებს მტკიცედ, მიწად, აბსოლუტურ არარაობად, ღვთაებრივი სრულყოფილებების წინაშე. მხოლოდ ენით უთქმელი ღვთის სიყვარულმა მოუწოდა ამ არარაობას ყოფიერებისკენ, უბოძა მას ყოფიერება, შთაბერა ცოცხალი სული. რა უფლებები, რის უფლებები! ყველაფერი ქრება ღვთაებრივი ნათელის უფსკრულის წინაშე, და არის მხოლოდ ერთი შესაძლებელი, აუცილებელი და საკმარისი ყოფიერება — თავად ღმერთი. ღვთის გარდა და გარეშე ღვთისა — არაფერია და არც შეიძლება, იყოს რამე. ყველაფერი, რაც რეალურად არის მის გარდა, არის მხოლოდ მისი ქმნილება, მხოლოდ მისი პიროვნული და თავისუფალი ნების, მისი სიყვარულის ნაწარმოები. სამყაროსა და ადამიანს არ გააჩნიათ არავითარი აუცილებლობა. სამყარო და ადამიანი მთელი მათი ძალითა და მშვენიერებით, მთელი მათი ბოღმითა და არარაობით სრულიად ვერაფერს მატებენ ღმერთს და ვერც აკლებენ. სამყაროსა და ადამიანს შეეძლოთ, სრულიად არ არსებულიყვნენ და ეს არაფერსაც არ შეცვლიდა ჭეშმარიტ ყოფიერებაში. ხოლო აი, აღორძინება ფიქრობს, რომ ადამიანს **აქვს არსებობის უფლება** და სწორედ ამაშია მთელი საიდუმლო. ღმერთიც რჩება ხელუხლებელი, რელიგიაც რჩება მთლიანობაში და სამყაროც არსებობს, როგორც არსებობდა აქამდე, მაგრამ... მეც მაქვს უფლება არსებობაზე. არის სატანის **უზარმაზარი** გამარჯვება ღმერთზე“ — უწყინარიც რადგან, ამ არსებობის უფლებიდან იგი თანდათანობით ართმევს ღმერთს არსებობის უფლებას.“

რაც შეეხება საქართველოს, აქ ეშმაკი დამკვიდრდა პოლიტიკური ფორმით. სხვანაირად ვერ ავხსნით ე. წ. „ნაცების“ მორჩილი ტელეარხების გადაცემებს, სადაც „თავისუფლების მოთხოვნით“ ღიად ან შეფარულად თავდასხმები მიდის ჩვენს ეკლესიაზე.

გადადის რა განმანათლებლობის ეპოქის დახასიათებაზე, ლოსევი ვოლტერსა და დიდროს „სალონურ მეძავებს“ უწოდებს, თუმცა მათი ათეიზმი (ვოლტერის შემთხვევაში — „დეიზმი“), ლოსევის შეხედულებით, არ იყო ისე სახიფათო, როგორც კანტის ფილოსოფია, რომელმაც ღმერთი ოდენ „იდეად“ აქცია.

განმანათლებლობიდან ლოსევი პირდაპირ ჩვენს ეპოქაზე გადმოდის:

„როგორც არ უნდა გააფთრდეს ჰილისტური და გადაგვარებული განმანათლებლობა, ეშმაკი მაინც სრულიად რეალური ძალაა; ეშმას უსასრულოდ ბოროტ ძალას მხოლოდ ისინი ვერ ამჩნევენ, ვინც ამ ძალას დაუბრმავებია და თავის მსახურად უქცევია. არ უნდა ვიფიქროთ, რომ მხოლოდ ის ბოროტი ძალები არსებობენ, რომლებსაც კლასიკური რელიგიებიდან ვიცნობთ. ამჟამინდელმა ეშმაკმა მიიღო ფილოსოფიური, მხატვრული, მეცნიერული და სხვა ფორმები“ (მთელი ეს ციტატები მოტანილი მაქვს წიგნიდან — ალექსეი ლოსევი, მითის დიალექტიკა, თბილისი 2017).

რულად თავდასხმები მიდის ჩვენს ეკლესიაზე.

რაც შეეხება ხელოვნებას, აქაც „თავისუფლების მოთხოვნით“, ეშმაკი ბობოქრობს. დღევანდელი „მოდური“ ლიტერატურა, ფილმები, ტელეფილმები და ა. შ. სავსეა გარყვნილებით, საშინელებებით და სადო-მაზოხისტური მოვლენების ჩვენებით. სხვათა შორის, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გამოჩენილ მღდელმთავარ თეოფანე განდეგილს (Феофан Затворник — 1815-1894), მისმა თაყვანისმცემლებმა წერილი გაუგზავნეს და ჰკითხეს: „მხატვრული ლიტერატურიდან როგორი წიგნები წავიკითხოთ?“ საგულისხმო იყო განდეგილის პასუხი: „თუ მაინცადამაინც ვერ ეშვებით ასეთი წიგნების კითხვას, იკითხეთ ის წიგნები, რომლებიც თქვენში უსიამოვნო გრძნობას არ იწვევენ“ (Письма к разным лицам о предметах веры и жизни, М.: 1882).

როგორც ვხედავთ, ეშმაკის დასაძლევად მრავალმხრივი ზრუნვა გვმართებს.

საინტერესოა, როდესაც ჩვენი ეკლესია ყოველგვარ ამ უზნეობას ამხელს, მაშინვე გაისმის ყმული და კბილთა ღრჭენა ნირგვარი „უფლებადამცველების“ მხრიდან, რაც მახსენებს დიდი დანიელი ფილოსოფოსისა და თეოლოგის, სიორენ კირკეგორის (1813-1855) მსჯელობას დემონურზე, როგორც „შიშზე სიკეთის წინაშე“. თავის წიგნში „შიშის ცნება“ (ს. კირკეგორი, შიშის ცნება, თარგმ. გერმანულიდან, თბილისი 2014) იგი შემდეგს გვაუწყებს:

„დემონური მხოლოდ მაშინ იკვეთება ცხადად, როდესაც მას სიკეთე ეხება, რომელიც მის საზღვარს გარედან უახლოვდება. ამ მიზეზით ღირსშესანიშნავია, რომ ახალ აღთქმაში დემონური თავს მხოლოდ მაშინ ამჟღავნებს, როდესაც მას ქრისტე უახლოვდება და თუნდაც დემონთა რიცხვი ლეგიონი იყოს (შდრ. მათე, 8,28-3, მარკოზი, 5,1-10, ლუკა, 8,26-39), ან თუნდაც, დემონი მუნჯი იყოს (შდრ. ლუკა 11,14), ფენომენი არის ერთი და იგივე, ეს არის შიში სიკეთის წინაშე; რადგან შიში ისევე კარგად შეიძლება გამოიხატოს როგორც სიმუნჯეში, ისევე — ყვირილში. სიკეთე, ბუნებრივია, აღნიშნავს თავისუფლების აღდგენას, ხსნას, გადარჩენას, როგორადაც არ უნდა ვუწოდოთ მათ... დემონურში თავისუფლება დაწესებულია, როგორც არათავისუფლება, რადგან თავისუფლება დაკარგულია. თავისუფლების შესაძლებლობას აქ კვლავ შიში წარმოადგენს... მრავალი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც დემონური ამქვეყნად აღმოჩენილია. დემონური ისე არასდროს ყოფილა გავრცელებული, როგორც ჩვენს დროში, მხოლოდ დღესდღეობით იგი განსაკუთრებით სულიერ სფეროებში გვევლინება“.

ვიქტორ რცხილაძე

მინაწერი

უნივერსიტეტში

საქართველოს ისტორიას მიკითხავდა აწ განსვენებული პროფესორი დათიკო გვრიტიშვილი, სტალინგრადის ომის მონაწილე. ლექციაზე მან გვამცნო, რომ ფრონტზე ყოფნისას ხელთ ჩაუვარდა გერმანული გაზეთი, სადაც ქართველებზე ნათქვამი იყო, რომ ეს ის ხალხია, რომელსაც საკუთარი სახელმწიფოს მართვა არ შეუძლია, არამედ სხვამ უნდა მართოსო. რასაკვირველია, ყოველივე ეს, პატრიოტმა პროფესორმა აღშფოთებით გადმოგვცა.

ამ დროს, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ, ე. წ. საქართველოს დამოუკიდებლობიდან დღემდე, საქართველოს არ გაუხარია. არის ეს დაკავშირებული ერის დეგენერაციასთან?! ქაოსი, სიბინძურის, როგორც სულიერი, ასევე მატერიალურის გამოფენა დედაქალაქის მთავარ პროსპექტზე, სწორედაც ამაზე მეტყველებს. ხოლო ვინც ამის ინსპირირებას ახდენს, დღეს ნათლად გამოჩნდა: ეს ისევ ის კომიკურ-სახიფათო სააკაშვილია და ყველა ე. წ. „პარტია“, რომლებიც გაერთიანდნენ „რევოლუციის“ მიზნით. მართალი მოგახსენოთ, მათმა თავყრილობამ გოეთეს „ვალპურგის ღამე“ გამახსენა „ფაუსტიდან“, რომლის დროსაც თავს იყრიან ყველა კუდიანები და ეშმაკეულები. ასევე ეჭვს იწვევს ის ხელისუფლება, რომელიც მათ არ სჯის, თუმცა კი ეს შეუძლია.

მსოფლიოს უხუცესი ძებნილები

აჭარის ყოფილი ლიდერი ასლან აბაშიძე ინტერპოლის ცენტრალური ბიუროს საიტზე წითელი ცირკულარით 2004 წლიდან იძებნება. 81 წლის აბაშიძე ერთ-ერთია ყველაზე ხანდაზმულ საერთაშორისო ძებნილთა შორის.

ინტერპოლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით ირკვევა, რომ 80 წელს გადაცილებულ ძებნილთა რაოდენობა სულ 28 ადამიანს შეადგენს, მათგან ყველაზე უხუცესი ძებნილი 95 წლის არგენტინელი რომერო ტელო ჰუმბერტო გახლავთ, რომელსაც ინტერპოლი თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და წამების ბრალდებით ეძებს. აჭარის ყოფილი ლიდერი ასლან აბაშიძე კი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და მითვისება-გაფლანგვის ბრალდებით იძებნება.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲗᲐ ᲔᲜᲘᲗᲐ ᲥᲐᲛᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲨᲔᲘᲬᲘᲠᲕᲘᲡ...“

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲔᲑᲠᲫᲕᲘᲐᲜ ᲒᲐᲚᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ

ᲒᲐᲚᲘᲡ ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲚᲔᲑᲐᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲡ. ᲔᲡ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲕᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲛᲐ ᲗᲔᲛᲣᲠ ᲜᲐᲓᲐᲠᲐᲘᲐᲛ ᲒᲐᲐᲦᲚᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲛᲐᲚᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲠᲔᲑᲐᲓ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲗᲐ ᲒᲐᲓᲘᲜᲔᲑᲐᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ.

„160 ბავშვი წავიდა საქართველოში სასწავლებლად და მხოლოდ 30 — სოხუმში. მიუხედავად ჩვენი არაერთი მცდელობისა, პროცესი გრძელდება. საპასუხოდ ვგეგმავთ სკოლებში ქართული ენის სწავლების შეწყვეტას. კანონი არ გვავალდებულებს, სკოლებში ქართული ისწავლებოდეს, — ეს მხოლოდ ჩვენი კეთილი ნება იყო. სანაცვლოდ შევიტანთ მეგრულ ენას, გალის მოსახლეობა ხომ ძირითადად მეგრულად საუბრობს“, — განაცხადა ნადარაიამ.

ადგილობრივები შიშობენ, რომ აღნიშნული გალის რაიონის სოფლების დაცლის დამატებითი მიზეზი გახდება, რადგან ბავშვებს რუსულად სწავლა ძალიან უჭირთ.

„თუ ასე მოხდა, რას უნდა გავუჩერდეთ აქ, წარმოდგენა არ გვაქვს. სოფელში ხალხი აღარაა, ქართულად უკვე თითქმის ვერ საუბრობენ ბავშვები. შედის აფხაზურის მასწავლებელი. ბავშვებს აფხაზურად ან რუსულად ესაუბრებიან. მოსწავლეები უყურებენ გაოცებულები, რა ქნან? ზოგს საერთოდ არ ესმის. თანაც, რაც არ უნდა კარგად ისწავლონ აფხაზური, თურმე, მასწავლებელს ხუთიანის დაწერის უფლება არ აქვს. საუბარი მიჭირს ამ თემაზე, არ ვიცი, რა უნდა ვქნათ. მეგრულით ჩანაცვლება, მათი აზრით, შეღავათია, თურმე, „დაგვინდეს“. ბავშვებს აქ ქართულად განა იმიტომ ვესაუბრებით თავიდანვე, რომ სკოლაში დაავიწყონ! ისედაც ბევრს უჭირს ქართულად მეტყველება და მეგრულზე რომ გადაიყვანონ, შედეგი კატასტროფული იქნება. ღმერთმა ნუ ქნას, ეს დაპირება შეასრულონ, — აქ არავინ დარჩება, მაგრამ რაც აქამდე უთქვამთ, რა, არ გამოუვიდათ?!“, — აცხადებს **„ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘᲐᲜ“** საუბრისას გალის რაიონის სოფელ სიდას მკვიდრი, სამი შვილის დედა.

ანალოგიური მოსაზრება აქვს სოფელ ჭუბურხინჯის მაცხოვრებელს, რომელსაც სკოლაში ორი ბავშვი დაჰყავს. ის გალიდან წასვლის აუცილებლობაზე საუბრობს, თუმცა წასასვლელს ვერსად ხედავს.

„ღმერთმა დაგვიფაროს! ამათთვის ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ ჩვენ რა უნდა ვქნათ? ყველამ კარგად ვიცით, რომ აქ ცხოვრების გაგრძელება შეუძლებელია, მაგრამ წასასვლელი რომ არსად გვაქვს?! გალში სანამ ვცხოვრობთ, საქართველოს მთავრობა საცხოვრებელი ფართით არ გვაკმაყოფილებს, თქვენ იქ სახლები გაქვთო, ახლა რომ ავდგე და ორი შვილით წავიდე აქედან, ვის შევეფარო? სამინისტრო მომცემს ბინას?! — არა. ამის იმედი არ გვაქვს, თუ მოგვცემს უამრავი წლის შემდეგ. ისეთი შეგრძნება გვაქვს, რომ წარმოდგენა არა აქვთ, აქ რა პირობებში გვიწევს ყოფნა“, — აცხადებს ჭუბურხინჯის მკვიდრი.

„ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘ“ უკვე წამოსულ მშობელსაც ესაუბრა, რომელიც სოფლის დატოვების მიზეზად სწორედ სკოლას ასახელებს.

„სამი შვილი მყავს, ერთი პირველი კლასის მოსწავლეა, ორი — უფრო პატარა. მოსამზადებელ კლასში სოფლის სკოლაში დამყავდა, სადაც საერთოდ არ ისწავლება ქართული ენა. ძალიან გაუჭირდა, ამიტომ გავიყავით ოჯახი ორად. მშობლები სოფელში დარჩნენ, მე კი მეუღლესთან და შვილებთან ერთად ზუგდიდში წამოვედი. ახლა საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობთ და იმედი გვაქვს, რომ მთავრობა დაგვეხმარება. ვერ დავრჩებოდით, რადგან წინაპირობა იმისა, რომ ქართულის ამოღება იგეგმებოდა, მოსამზადებელშივე ჩანდა. თავის დროზე ასე დაიწყო ქართული სწავლების ეტაპობრივი ჩანაცვლებაც! ჯერ პირველი კლასი გადაიყვანეს რუსულზე, მერე ყოველ წელს თითო კლასი ემატებოდა, დღეს კი მერვე კლასის ჩათვლით სრულად რუსული სწავლებაა. შვილებს მომავალს ვერ წავართმევდი, ავდექი და წამოვედი“, — აცხადებს „აქცენტთან“ საუბრისას სოფელ თაგილონის მკვიდრი.

ვესაუბრეთ იმ ადგილობრივებსაც, რომლებიც სოფლის დატოვებას უახლოეს მომავალში გეგმავენ.

„უფროსმა შვილმა რომ დაამთავრა სკოლა, ვერ გავყევი. ვერ ვთქვი უარი სახლზე. ის დღეს თბილისში სწავლობს და მიუხედავად იმისა, რომ უსაბუთობის გამო ჩამოსვლას ვერ ახერხებს, ოჯახმა მაინც ასე, გაყოფილად ცხოვრება ვამჯობინეთ. მეორე შვილი მე-10 კლასშია, მას სავარაუდოდ, ვერ მოუსწრებს ნადარაიას მუქარა, მაგრამ დაამთავრებს თუ არა, აქაურობას ჩვენც მასთან ერთად დავტოვებთ. კარგად სწავლობს, ვფიქრობ, ეროვნულ გამოცდებსაც წარმატებით ჩააბარებს. ასე აქ ძალიან ბევრი ფიქრობს. სკოლა აკავებდა ხალხს, რადგან ჯერჯერობით შესაძლებელი იყო, ხარისხიანი განათლება მიეღოთ, საკუთარ სახლშიც ყოფილიყვნენ და ასე თუ ისე, ნორმალურად ეცხოვრათ. ბევრი წავიდა, ბევრიც ჩემსავით წავა“, — განუცხადა „აქცენტს“ კიდევ ერთმა ადგილობრივმა.

შედარებით იმედიანად არიან განწყობილი ადგილობრივი მასწავლებლები. „აქცენტთან“ საუბრისას მათ აღნიშნეს, რომ დე ფაქტო განათლების სამინისტრო მეგრული ენის მასწავლებელს ვერ იპოვის.

„ღმერთმა დაგვიფაროს, ეს მოხდეს, ისედაც ყველაფერმა გადაიარა ჩვენს თავზე. სოფელში არავინ დარჩება. არ მგონია, რომ განახორციელონ, უფრო სწორად, იმედს ვიტოვებთ, რომ ამას არ გააკეთებენ. როცა აფხაზური შემოიღეს, წლები დასჭირდათ კადრების შესავსებად, მეგრული ენის სპეციალისტის პოვნა კი საერთოდაც ეჭვი მეპარება, შეძლონ. რაც შეეხება ქართული ენის ამოღების მუქარას, მხოლოდ იმედს ვეყრდნობით. ვერ უნდა გააკეთონ, მაგრამ როგორ, ვერ გეტყვით. თავიდან, ასე თუ ისე, ვახერხებდით, თვალი აგვეხვია დე ფაქტო განათლების სამინისტროს წარმომადგენლებისთვის, საბუთებს რუსულად ვავსებდით, გაკვეთილებს კი ქართულად ვატარებდით. დღეს ეს თითქმის შეუძლებელია. წლებია, მასწავლებლების გადამზადება მიდის, ტრენინგები, ლექციები, გამოცდები... შემოწმება შემოწმებაზე მოდის, როდის შემოგიღებენ კარს, არავინ იცის. ბავშვებს უკვე უჭირთ სწავლაც და მეტყველებაც“, — აცხადებს გალის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელი.

გალის რესურს-ცენტრის ხელმძღვანელ ნონა შონიას თქმით, სამიოდე წელიწადი და გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში არათუ ქართული სკოლა, ქართული კლასიც კი არ იარსებებს.

„გალის რაიონის ომამდელი საზღვრების სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენის და ზოგადად ქართველობის წინააღმდეგ მიზანმიმართული ბრძოლა ომის შემდგომ, სკოლებისა და საბავშვო ბაღების, სახელოვნებო სკოლების აღდგენისთანავე დაიწყო და დღესაც გრძელდება. უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ ოჩამჩირესა და ტყვარჩელის რაიონებისთვის გადაცემულ გალის რაიონის სკოლებში ქართულ ენას 1 საათიც კი არ ეთმობა, სამაგიეროდ, გაზრდილია რუსული ენისა და ლიტერატურის საათები, ყველა საგანი რუსულ ენაზე ისწავლება. თითო საათამდეა დაყვანილი ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება გალის ე.წ. ზედა და ქვედა ზონების სკოლებში. ქვედა ზონის სკოლებში დარჩენილია IX-XI ქართული კლასები. სამიოდე წელიწადი და გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში არათუ ქართული სკოლა, ქართული კლასიც კი აღარ იარსებებს. ეს მაშინ, როდესაც აქ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართველია. ბ-ნ ნადარაიას არ გაუჭირდება, ქართული ენის ის თითო საათიც გააუქმებინოს, რადგან როგორც ე.წ. გამგებელი, აფხაზეთის ე.წ. განათლების სამინისტროს გვერდის ავლით, უფლებამოსილების გადამეტებით განაგებს რაიონის განათლების საქმესაც. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ 2014-2015 სასწავლო წლის დასაწყისში მისი ბრძანებით, ქვედა ზონის მე-11 სკოლის 1-4 კლასები ერთბაშად რუსულენოვან სწავლებაზე გადაიყვანეს, რამაც ხელი შეუწყო ქართული კლასების განდევნას და რუსულით თანდათან ჩანაცვლებას. რაც შეეხება იმ განცხადებას, რომ გალელები უმთავრესად მეგრელები არიან და სკოლებშიც მეგრულად უნდა ისწავლონ, 2013 წელს გაზეთ „გალის“ რედაქციის თაოსნობით, გალში მცხოვრები და თბილისში განათლებამიღებული ქართველის რედაქტორობით როსტოვში 500-იანი ტირაჟით გამოსცეს ქართული შრიფტით შექმნილი „ჩქიმი ნინა“ — საკმაოდ სუსტი და არაფრისმომცემი წიგნი (სახელმძღვანელოს ვერ ვუწოდებთ), რამაც მოსახლეობისა და მოსწავლე ახალგაზრდობის, მასწავლებლების ვერანაირი დაინტერესება ვერ ჰპოვა. გარდა ამისა, ისმის კითხვა: თუ გალელები მეგრელები არიან, რატომ არ ეძლევათ ბავშვებს მეგრულად ლექსის წაკითხვის ან უწყინარი მეგრული სიმღერების შესრულების უფლებაც კი, რატომ ისჯებიან ამ ბავშვების სკოლების დირექტორები და მასწავლებლები, რატომ თავისუფლდებიან დაკავებული თანამდებობებიდან?! თავად აფხაზურ ენას I-XI კლასებში კვირაში 27-29 საათი ეთმობა, აფხაზურ სკოლებში მხოლოდ მეოთხე კლასამდე ასწავლიან აფხაზურად, შემდეგ ყველა საგანი ისწავლება რუსულ ენაზე, — რატომ? იმიტომ, რომ არა აქვთ აკადემიური ლიტერატურა, არ არსებობს ტერმინოლოგია, სახელმძღვანელოები... ენის სწავლება ანბანის შესწავლით და მეცნიერულად გამართული სახელმძღვანელოებით ხორციელდება. ვფიქრობთ, რომ ეს არის ქართული ენისა და ქართველობის წინააღმდეგ მიზანმიმართული ბრძოლის კიდევ ერთი გამოხატულება“, — განუცხადა „აქცენტს“ რესურს-ცენტრის ხელმძღვანელმა.

გალის ოკუპირებულ რაიონში ქართულ ენასა და სკოლებთან ბრძოლა აქტიურ ფაზაში რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ გადავიდა. რამდენიმეწლიანი მუქარა — ქართული ენის რუსულით ჩანაცვლება სისრულეში მოიყვანეს და ეტაპობრივად ქართული რუსულმა ჩაანაცვლა. 2017 წელს სრულად დაიხურა სოფელ ნაბაკევის სკოლა. ამჟამად გალის რაიონში 30 სკოლა ფუნქციონირებს, სადაც ქართული ენა, როგორც საგანი, ჯერ კიდევ ისწავლება.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲐᲠᲢᲣᲠ ᲐᲜᲥᲕᲐᲑᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ

ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲛᲐ დე ფაქტო პროკურატურამ ბიზნესმენ არმენ გრიგორიანის გატაცების საქმესთან დაკავშირებით, აფხაზეთის 2019 წლის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი, არტურ ანქვაბი დააკავა. ინფორმაციას აფხაზური მედია ავრცელებს.

გატაცებაში რამდენიმე პირი მონაწილეობდა.

ბიზნესმენი არმენ გრიგორიანი 24 ნოემბერს, სოხუმის ლეჩკოპის სასაფლაოს ტერიტორიიდან გაიტაცეს. გამტაცებლები 17 მილიონ რუბლს ითხოვდნენ. არმენ გრიგორიანი გათავისუფლებულია. აფხაზმა მილიციელებმა ის 30 ნოემბერს, გუდაუთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში იპოვეს.

არტურ ანქვაბი 2017 წელს ცეცხლსასროლი იარაღით ადამიანისთვის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მიყენების ბრალდებით გაასამართლეს, თუმცა 2018 წელს შეიწყალეს და ნასამართლობაც მოუხსნეს. 2015 წლამდე არტურ ანქვაბი აფხაზეთის ე.წ. მილიციის სკოლის დირექტორი იყო.

ᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲐᲠᲨᲑᲐᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲫᲔᲕᲔᲑᲐᲡ

ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ ე.წ. შს მინისტრი გარი არშბა თანამდებობიდან გაათავისუფლა. მანამდე ოკუპირებულ სოხუმში საპროტესტო აქცია გაიმართა გარი არშბას დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების და ქვეყნიდან გაძევების მოთხოვნით.

თავისუფლების მოედანზე 300-მდე ადამიანი იყო შეკრებილი. აქციის მონაწილეების თქმით, ისინი 22 ნოემბერს სოხუმის ცენტრში კაფე „სან-რენოს“ წინ მოკლული ასტამურ შამბას და ალხას ავიძბას ნათესავები არიან. მათ უკვე მიმართეს ხაჯიმბას გარი არშბას დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნით. 22 ნოემბერს სოხუმში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს ე.წ. კანონიერი ქურდები ასტამურ შამბა და ალხას ავიძბა. მძიმედ დაიჭრა სამი ადამიანი. ერთ-ერთი ახალგაზრდა გოგონას მდგომარეობა ამ დრომდე უმძიმესია. ე.წ. აფხაზურ მილიციას ჯერ საქმეზე არავინ არ დაუკავებია.

ჩინეთმა აშშ-ს სანქციები დაუწესა

სანქციები ძირითადად გულისხმობს ჰონგ-კონგში ამერიკული სამხედრო გემებისა და ვერტმფრენების ვიზიტების შესახებ ნებართვების შეჩერებას. გარდა ამისა, ჩინეთმა სანქციები დაუწესა აშშ-ში მდებარე Human Rights Watch-ის ცენტრალურ ოფისს, რადგან ორგანიზაცია ჰონგ-კონგის დემონსტრაციებს მხარს უჭერს.

მედიაში თეთრ სახლში მომუშავე წყაროებზე დაყრდნობით, დაიწერა, რომ აშშ-სა და ჩინეთს შორის სავაჭრო შეთანხმებაზე მოლაპარაკებები ჰონგ-კონგში მიმდინარე მოვლენების გამო შეჩერდა.

ნოემბრის ბოლოს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ჰონგ-კონგში დემოკრატიის მხარდამჭერ კანონპროექტს ხელი მოაწერა. დოკუმენტი სახელმწიფო დეპარტამენტს ჰონგ-კონგში ადამიანის უფლებების დარღვევაზე ყოველწლიურად არა მხოლოდ კანონმდებლების წინაშე ანგარიშის წარდგენას, არამედ სანქციების დაწესებას ავალდებულებს იმ პირებისთვის, რომლებიც ადამიანის უფლებებს არღვევენ.

კიდევ ერთი კანონპროექტი, რომელსაც ტრამპმა მოაწერა ხელი, ჰონგ-კონგში კრძალავს ტექნიკისა და იმ საშუალებების ექსპორტს, რომლებსაც ადგილობრივი პოლიცია აქციების ჩასახშობად იყენებს. ჰონგ-კონგში მასობრივი ანტისამთავრობო პროტესტი ივნისში დაიწყო. აქციები ჩინეთში ექსტრადირების შესახებ კანონპროექტს მოჰყვა, რომლის თანახმად დაკავებულს განაჩენს ჩინეთის სასამართლო გამოუტანდა. მთავრობამ კანონპროექტი გაიწვია, თუმცა დემონსტრაციები არ წყდება. აქციის მონაწილეები დემოკრატიული რეფორმების გატარებას და ჰონგ-კონგის ლიდერის კერი ლამის გადადგომას ითხოვენ.

ნატოს ოცდამეათე წევრი ქვეყანა

ჩრდილოეთ მაკედონიის ნატოში გაწევრიანების შესახებ ოქმის დამტკიცების პროცედურა დასრულებულია.

ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ ტვიტერზე დაწერა.

„მოხარული ვარ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოახდინა ოქმის რატიფიკაცია ჩრდილოეთ მაკედონიის ნატო-ში გაწევრიანების შესახებ“, — წერს მაიკ პომპეო.

გასულ წლამდე საბერძნეთი ბალკანეთის ქვეყნის ალიანსში შესვლას ბლოკავდა, რადგან ის, 1991 წელს იუგოსლავიისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მაკედონიის რესპუბლიკის სახელწოდების მოპოვებას ცდილობდა.

მაკედონიამ და საბერძნეთმა ახალ სახელწოდებაზე კონსენსუსს გასული წლის 17 ივნისს მიაღწიეს და მას ჩრდილოეთ მაკედონია ეწოდა, რის შემდეგაც საბერძნეთის პარლამენტმა მხარი დაუჭირა ოქმის რატიფიკაციას ჩრდილოეთ მაკედონიის ალიანსში შესვლის შესახებ. აღნიშნულ ოქმს ხელი მოაწერეს ასევე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრმა ქვეყნებმა.

ცნობისთვის, ჩრდილოეთ მაკედონია ნატო-ს 30-ე წევრი ქვეყანა გახდა.

◎ თანამედროული

ახლადილი წინასწარმეტყველება

ძვეძნის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველ ხელოვანთა დიდებულ პლეადაში, მსოფლიო საოპერო ხელოვნების ჭეშმარიტი მშვენების **ხიბლა გერზმავას** სახელი განსაკუთრებული გამორჩევის აღნიშვნის ღირსია — ცოტა ხანში მისი დაბადების დღე მოდის, როცა თავის ახლობლებთან ერთად ლამაზ მრგვალ თარიღს იზეიმებს.

თავდაპირველად ერთ საკმაოდ ბანალურ რამეს ვიტყვით: ხელოვნების რომელ სფეროშიც გნებავთ წინასწარმეტყველება ერთობ სარისკო საქმეა, მაგრამ მატიანეს შემორჩენილია შემთხვევები, როცა დიდი ოსტატის განჭვრეტა ასპროცენტიანი გამომდგარა.

სწორედ ასე მოხდა 1994 წელს პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის საერთაშორისო კონკურსზე, როცა ვოკალისტების პაექრობის ახალგაზრდა მონაწილეს ხიბლა გერზმავას ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა, საქვეყნოდ ცნობილმა მომღერალმა **ელენა ობრაზცოვამ** მიაქცია ყურადღება. შემორჩენილია კონკურსანტ ხიბლა გერზმავას შესახებ ამ დიდებული მომღერლის იმდროინდელი აღფრთოფანებული ჩანაწერები: „**ხმის ხარისხი — საუცხოო. ძალიან მუსიკალურია, სუფთა, ბრწყინვალე, თბილი, ანკარა ხმა აქვს, ნამდვილი ბრილიანტი, საოცრებაა, საოცრება, საოცრება...**“ (ხაზგასმა ელენა ობრაზცოვასია — რედ.).

იმ წელს ჩაიკოვსკის კონკურსი ისტორიული გახდა, მისი არსებობის ისტორიაში პირველად ჯერ საგანგებოდ დაარსდა, შემდეგ კი გრან-პრი მიენიჭა, რომლის მფლობელი სწორედ **ხიბლა გერზმავა** გახდა. ჩაიკოვსკის კონკურსის გამარჯვებულთაგან, აგერ უკვე 20 წელზე მეტია, ასეთი მაღალი ჯილდო არავის რგებია, მაგრამ, როგორც ჩანს, ელენე ობრაზცოვას მისთვის ესეც ეცოტავა და მას კიდევ ერთი მაღალი ჯილდო — საკუთარი სახელის პრემია მიანიჭა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ხიბლა გერზმავამ სავსებით გაამართლა ელენა ობრაზცოვას წინასწარმეტყველება და იმედები, იგი დღეს მსოფლიო საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და მშვენიერი წარმომადგენელია. მისი ნიჭის თაყვანისმცემლები ყველა სპექტაკლის თუ სოლოკონცერტის შემდეგ მქუხარე ოვაციებს არ იშურებენ... მის გამოსვლას თავიანთ სცენაზე მოსკოვისა და პეტერბურგის, ლონდონისა და პარიზის, მიუნჰენისა და ვენის, ნიუ-იორკისა და ტოკიოს, ლა-სკალასა და მეტროპოლიტენ ოპერის, დიდი და მარიინის თეატრების ხელმძღვანელობა და მაყურებელი მუდამ დიდი სიხარულით მოელის.

მაგრამ, მოგეხსენებათ, დრო ადგილზე არ დგას და აი, ცხოვრების მრგვალ თარიღამდე და, შესაძლოა, მის აღსანიშნავადაც კი, ხიბლა გერზმავამ მსოფლიო ქალაქებში დიდი საგასტროლო ტურნე დაიწყო, რომლის პირველი კონცერტი სანკტ-პეტერბურგის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართა, შემდეგ მოსკოვშიც გაიმეორა. მაყურებლები აღფრთოვანებით შეხვდნენ ამ დიდებულ და დედოფალივით მშვენიერი მომღერლის შესანიშნავ გამოსვლებს.

ნინო ალექსანდრია

აქტიური პროცესები დეკემბერში

გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება სავარაუდოა 3-5, 8, 12, 13, 18, 19, 22-29 დეკემბერს. ამ დღეებში მოსალოდნელია ციკლონებისა და ქარიშხლების ჩამოყალიბება, ყველა სახეობის ავარიულობის მომატება, სოციუმში დაძაბულობის გაძლიერება და სეისმოაქტივობის გაძლიერება.

4 — მთვარის პირველი მეოთხედი, მისი ნეპტუნთან შეერთება თევზების თანავარსკვლავედში. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვალებადობა, ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, არტერიული წნევის ნახტომისებრი მატება. ასევე გამორიცხული არაა ინფექციური დაავადებების შეყრა და შეშუპებების წარმოშობა. ტრანსპორტით გადაადგილებისას, ქუჩის გადაკვეთისას და დოკუმენტების შედგენისას საჭიროა სიფრთხილის დაცვა.

8 — მთვარის შეერთება ურანთან კუროს თანავარსკვლავედში. დიდია კისრის ტრავმების მიღების, ფარისებრი ჯირკვლის მუშაობის დარღვევის, გაციების ალბათობა. ნუ აჩქარდებით და ნუ იჯიუტებთ. მოერიდეთ სტრესებს, ნუ დაძაბვთ ყელის ძარღვებს. მოსალოდნელია გეგმებისა და ვითარების შეცვლა, ამდენად, ამ დღეს მნიშვნელოვანი საქმეების დაგეგმვა არ ღირს.

12 — ახალმთვარეობა ტყუპების თანავარსკვლავედში. სავარაუდოა ქრონიკული დაავადებებისა და ანთებითი პროცესების გამძაფრება, არტერიული წნევის ნახტომისებრი ცვლა, ხელებისა და მხრების ტკივილების, შფოთვის შეგრძნების წარმოშობა. უყურადღებობისა და აჩქარების გამო დიდია შეცდომების დაშვების ალბათობა. არ არის რეკომენდებული ოპერაციების გაკეთება, კბილების ამოღება. სასურველია, მოერიდოთ ხმაურიან ღონისძიებებს, ზედმეტ ფიზიკურ დატვირთვას, უარი თქვით სპირტიანი სასმელებისა და აღმგზნები საშუალებების მიღებაზე.

19 — მთვარის ბოლო მეოთხედი ქალწულის თანავარსკვლავედში. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობა. დიდია ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრების, არტერიული წნევის ნახტომისებრი მომატების ალბათობა. შესაძლოა კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და ღვიძლის დაავადებები, ბუასილის შეტევები. შესაფერისი დროა პროფილაქტიკური გასინჯვისა და სერიოზული მკურნალობისთვის მზადებისა.

23 — მთვარისა და მარსის შეერთება მორიელის თანავარსკვლავედში. გამორიცხული არ არის მწვავე რესპირატორული დაავადებების, ცისტიტისა და ბუასილის წარმოშობა. მოერიდეთ გაციებას, ეცადეთ, აკონტროლოთ საკუთარი ემოციები, მოერიდეთ კონფლიქტებს. სასარგებლოა ფიზიკური აქტივობა და ფეხით სიარული.

25 — მთვარისა და მერკურის შეერთება მშვილდოსნის თანავარსკვლავედში. შესაძლოა მენჯის სახსრებისა და კუნთების ტკივილები, საჯდომის ნერვის ანთება, ფილტვებისა და ბრონქების დაავადებები. მოერიდეთ ფიზიკურ და სულიერ გადაღლას, სტრესებსა და გაციებას. უარი თქვით მსუყე და ცხარე საკვების მიღებაზე, ნუ გადატვირთავთ ღვიძლსა და ფეხებს.

26 — ახალმთვარეობა მშვილდოსნის თანავარსკვლავედში, მზის დაბნელება, მთვარის იუპიტერთან შეერთება. საფრთხილოა ღვიძლის, ფილტვების, ნერვული სისტემის, ვენებისა და სახსრების დაავადებები. მოერიდეთ ფიზიკურ და სულიერ გადაღლას, სტრესებს, თეძოებისა და მენჯის გაციებას.

27 — მთვარის სატურნთან და პლუტონთან შეერთება თხის რქის თანავარსკვლავედში. არ არის გამორიცხული კბილების, კანისა და სასქესო ორგანოთა დაავადებები. საჭიროა საყრდენ-სამოძრაო აპარატზე დატვირთვის შემცირება, ეცადეთ, სახსრები სითბოში გქონდეთ, მოერიდეთ ტრავმებს, ინფექციებსა და გაციებას. გამორიცხეთ მძიმე ფიზიკური დატვირთვა ხერხემალსა და სახსრებზე, ეცადეთ, მეტი დაისვენოთ. რეკომენდებული არ არის გეგმების დაწყობა და ახალი საქმეების წამოწყება.

29 — მთვარის ვენერასთან შეერთება მერწყულის თანავარსკვლავედში. ამ დღისთვის დამახასიათებელი იქნება ნერვოზულობა, დაბნეულობა და გამღიზიანებლობა. სავარაუდოა საერთო სისუსტე, გულყრები, ტრომბოფლებიტის გაძლიერება, კუნთების ტკივილები. უაღრესად მავნეა სტრესები და ალკოჰოლი. გაუფრთხილდით უცხო წამლებს, თვალებს, ნერვულ სისტემასა და ფეხის ტერფებს. გამორიცხული არ არის ახალი იდეებისა და ჩანაფიქრების გაჩენა. კარგი დროა დასვენების, ძალის აღდგენისა და ფიზიკური ვარჯიშისთვის.

◎ ევრო-2020

ოცნებას კაცი არ მოუკლავს

ჯერ ბავშვი არ დაბადებულა და სახელს არ-ქმევდნენო, ისეა ჩვენი საქმე, თუმცა, ამაში საქარ-თველოს ეროვნული ნაკრები და მისი ქომაგები ნამდვილად არ ვართ დამნაშავენი – ყველაფერი დებულების ბრალია.

საუბარია ევროპის 2020 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური რაუნდის წილისყრაზე, რომლის ოთხი საგზური ჯერაც გაუთამაშებე-ლია და სწორედ ერთ-ერთის დასაუფლებლად მოუწევთ ბრძოლა „ჯვაროსნებს“ გაისად 26 მარტს თბილისში ბელარუსთან და გამარჯვების შემთხვევაში 31 მარტს ასევე საკუთარ მოედან-ზე კოსოვოსა და ჩრდილოეთ მაკედონიის პლეი-ოფში უძლიერესთან.

ვთქვათ, ღმერთმა ქნას და გადავხტით კიდეც, ორივეჯერ ჰოპიც დავიძახეთ, მაშინ ვლახეთის დედაქალაქის საგამოფენო ცენტრ „რომექსპო-ში“ გამართული წილისყრის შედეგების თა-ნახმად, საუკეთესო ვარიანტში, თუ რუმინელე-ბი ვერ დაძლევენ ისლანდიელთა და ბულგარეთ-უნგრეთს შორის მოგებულის ბარიერებს, თან-მიმდევრულად ვეთამაშებით ავსტრიას (14 ივნისს ბუქარესტში), უკრაინას (18 ივნისს იქვე), და ჰო-ლანდიას (22 ივნისს ამსტერდამში), ხოლო თუ კარპატელები კონტინენტურ ფორუმზე გაემგზავ-რნენ, „სიკვდილის ჯგუფში“ ბობოლათა ტრიოს საკბილო ასეთი განრიგით გავხდებით: პორტუ-გალია (16 ივნისს ბუდაპეშტში), საფრანგეთი (20ივნისს იქვე) და გერმანია (24 ივნისს მიუნხენ-ში). დაგვეთანხმებით, საინფარქტო პერსპექტივაა!

ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ ჩვენი გუნდის შესაძლო მეტოქეთა თავკაცების კომენტარები, რომელიც ცხელ კვალზე გააკეთეს:

იოაჰიმ ლიოვი (გერმანია) – **„მსოფლიოს ბო-ლო ორი ჩემპიონატის გამარჯვებული, პლუს უკა-ნასკნელი ევროპის ჩემპიონატის პირველადგილო-სანი... თქვენი არ ვიცი და მე არ მახსენდება ასე-თი სიძლიერის კვარტეტი. წინ ძალიან რთული ბრძოლები გველის. ეს ნამდვილი „სიკვდილის ჯგუფია“!**

დიდიე დეშამი (საფრანგეთი) – **„რა თქმა უნდა, დიდი ჯახები მოგვიწევს. ეს არის ჯგუფი, რომე-ლიც საგანგებო მობილიზებას მოითხოვს ჩვენგან და ასეც ვაპირებთ, რომ მოვიქცეთ. სხვანაირად წარ-მატებაზე ფიქრი გამორიცხულია“.**

ფერნანდუ სანტუში (პორტუ-გალია) – **„ჩვენ პრობლემებთან გამკლავება ნამდვილად არ გვეს-წავლება და ესეც მორიგი ტესტია. დიახ, მზად ვართ აღნიშნული გა-მოწვევისთვისაც – დაე, გაიმარ-ჯვოს უძლიერესმა. დარწმუნე-ბულნი ბრძანდებოდეთ, ევროპის მოქმედი ჩემპიონი პორტუგალია ისევ მთავარი ფავორიტია!“**

ანდრეი შევჩენკო (უკრაინა) – **„სიმართლე გითხრათ, არ მინდო-და ფინალური ეტაპი ჰოლანდი-ასთან მატჩით დაგვეწყო, მაგრამ ჩვენ ვინ რას გვეკითხება? ისე, იცოდეთ, რომ უკრაინა მხოლოდ ჯგუფში თამაშით დაკმაყოფილე-ბას არ აპირებს“.**

„ა“ ჯგუფი (რომი, ბაქო) – იტალია, შვეიცარია, თურქეთი, უელსი.

„ბ“ ჯგუფი (სანკტ-პეტერბურ-გი, კოპენჰაგენი) – დანია, რუსე-თი, ბელგია, ფინეთი.

„გ“ ჯგუფი (ამსტერდამი, ბუ-ქარესტი) – უკრაინა, ჰოლანდია, ავსტრია, პლეი-ოფის რჩეული).

„დ“ ჯგუფი (ლონდონი, გლაზ-გო) – ინგლისი, ხორვატეთი, ჩეხეთი, პლეი-ოფის რჩეული.

„ე“ ჯგუფი (ბილბაო, დუბლი-ნი) – ესპანეთი, პოლონეთი, შვე-დეთი, პლეი-ოფის რჩეული.

„ვ“ ჯგუფი (ბუდაპეშტი, მი-უნხენი) – გერმანია, საფრანგე-თი, პორტუგალია, პლეი-ოფის რჩეული.

გიორგი ზოთაძე

◎ ეროვნული ლიგა

„დინამოს“ მე-17 გაელვება

რამდენიმე ტურის წინ ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ „ბათუმის“ პირ-ველად გაჩემპიონებას რაიმე შეუშლიდა ხელს, მაგრამ უმთავრესი კონკურენტის მი-ერ ძვირფასი ქულების განიავებამ მარადი-ულ ფავორიტ თბილისის „დინამოს“ საშუ-ალება მისცა მძლავრი ფინიშით მეჩვიდმე-ტედ (!) მოეგო ამჟამად „კრისტალბეთად“ წოდებული ეროვნული ლიგა.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ესპანელ მწვრთნელთა – ფელიქს ვისენტესა და ჩისკო მუნიოსის შეგირდებმა შინ უპ-რობლემოდ დაჯაბნეს უმაღლესი ლი-გიდან კარგა ხნის წინათ გავარდნილი უმოტივაციოდ მოთამაშე „ვიტ ჯორჯია“ – 2:0 (კუტალია, და-ფე), ხოლო ზღ-ვისპირელები ასევე დედაქა-ლაქში რკინიგ-ზელებთან და-მარცხდნენ – 1:2 (სიხარულიძე – 2, ტეიდი).

ეროვნული ჩემპიონატის სა-ბოლოო ცხრილი: „დინამო“ –75, „ბათუმი“, „სა-ბურთალო“ – 70-70, „ლოკომოტივი“ – 55, „ჩიხურა“ – 47, „ტორპედო“ – 44, „დილა“ – 43, „რუსთავი“, „სიონი“ – 38-38, „ვიტ ჯორჯია“ – 20 ქულა.

ბომბარდირი: ლევან კუტალია („დი-ნამო“) – 20 გოლი.

ასე რომ, გაისად ევროტურნირებზე გამოსვლის უფლება „დინამომ“, „ბათუმ-მა“ (**გია გეგუჩაძე**), აწ უკვე ექს-ჩემპიონმა „საბურთალომ“ (**გიორგი ჭიაბრიშვილი**) და „ლოკომოტივმა“ (**ლევან კორღალიძე**) მოიპოვეს, ხოლო „რუსთავი“ და „სიო-ნი“ ელიტაში ადგილის შესანარჩუნებ-ლად პლეი-აუტის მატჩებს, შესაბამი-სად, „თელავთან“ და „სამტრედიასთან“ 5 და 11 დეკემბერს გამართავენ.

ჩემპიონთა გალერეა: „დინამო“ (ორ-ჯერ – ყოფილი „იბერია“) – 17, „ტორ-პედო“ – 4, „ვიტ ჯორჯია“, „ოლიმპი“ (რუსთავი), „ზესტაფონი“ – 2-2, „სიონი“, „დილა“, „სამტრედია“, „საბურთალო“ – თითოჯერ.

რომან ფიფია („დინამოს“ მეპატრო-ნე და პრეზიდენტი) – „ჩემპიონობის მო-პოვება უზომოდ მახარებს. ჩვენ ეს ღირ-სეული თამაშითა და ბრძოლით დავიმ-სახურეთ. გაისად საქართველო ჩემპი-ონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე უნდა წარვადგინოთ და, რასაკვირვე-ლია, მომავალი სეზონისთვის გუნდის კიდევ უფრო გაძლიერებას ვაპირებთ. ეს ჩვენი უპირველესი ამოცანაა“.

ჩისკო მუნიოსი – „ზოგადად, მძიმე სეზონი გამოდგა და დიდი კონკურენციის პირობებში ღირსეულ მეტოქეებს ვაჯო-ბეთ. მიხარია, რომ ჩემპიონის ტიტული ოთხწლიანი პაუზის შემდეგ დავიბრუ-ნეთ და ქომაგები გავახარეთ. მადლობა ჩემს ფეხბურთელებს, გულშემატკივრებ-სა და ხელმძღვანელებს, რომლებიც წარ-მატებებისთვის ყველაფერს აკეთებდნენ“.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ხელბურთი

უდანაკარგოდ ლიდერობს

ხელვაჩაურის სპორტის სასახლემ სა-ქართველოს ხელბურთელ ქალთა ჩემპიონა-ტის უმაღლესი ლიგის მე-5 ტურის მხოლოდ ერთ მატჩს უმასპინძლა, რადგან „სამტრე-დიამ“ უსახსრობის გამო იქ ჩასვლა ვერ შეძლო და ჯერ „ყვარელთან“, შემდეგ კი თბილისის „მამულთან“ 0:10 წაგება ჩაეთვა-ლა. აჭარის გუნდი ქვეყნის 2017 წლის ჩემ-პიონსა და ბოლო გათამაშების ბრინჯაოს პრიზიორ „ყვარელს“ შეხვდა. მოგებული გათამაშების ცხრილის მე-2 საფეხურზე გა-დაინაცვლებდა. დაძაბული პაექრობის პირ-ველ ტაიმში სტუმრები ერთი ბურთის სხვა-ობით გავიდნენ წინ (14:13), შესვენების შემ-დეგ კი კიდევ უფრო უკეთ ითამაშეს, 31:26 გაიმარჯვეს და 8 ქულით გათამაშების ცხრილში მე-2 ადგილზე დამკვიდრდნენ.

სატურნირო მდგომარეობა ხუთი ტუ-რის შემდეგ: „ქარიშხალა“ - 10 (141:118), „ყვარელი“ – 8 (150:109), „სამტრედია“ – 6 (79:77), „აჭარა“ – 5 (115:96), ფოთის „ოქროს ვერძი“ – 5 (96:81), თბილისის „მამული“ – 4 (112:124), თბილისის „პეგა-სი“ - 2 (106:134), წყალტუბოს „პრომეთე“ – 0 (69:129) ქულა.

ქალთა უმაღლესი ლიგის ტურნირი 2020 წლის იანვარში განახლდება.

გივი გაგუა

◎ ჭადრაკი

ძაგნიძე ათეულშია

ფიდემ დეკემბრისთვის მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა, რომლებ-შიც წინა თვის შედეგებია გათვალისწინებული. ნა-ნა ძაგნიძეს 2520 პუნქტით მე-9 ადგილი უკავია.

მანდილოსნებში ჩინელი მსოფლიოს ექს-ჩემ-პიონი ჰოუ იფანი (2664) პირველობს. რჩეულთა ათეულში შემდეგ მოდიან მსოფლიოს ჩემპიო-ნი ცზიუი ვენძიუნი (ჩინეთი, 2580), ჰამფი კო-ნერუ (ინდოეთი, 2574), ალექსანდრა გორიაჩ-კინა (რუსეთი, 2572), მარია მუზიჩუკი (უკრა-ინა, 2559), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2547), ვიქ-ტორია ჩმილიტე (ლიეტუვა, 2538), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2537), ნანა ძაგნიძე (2520), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 2518).

ძაგნიძის გარდა, ქართველთაგან პირველ ასეულში არიან: 23. ელა ჯავახიშვილი (2463), 28. ნინო ბაციაშვილი (2447), 29. ბელა ხოტენაშვილი (2446), 34. მერი არაბიძე (2435), 94. ქეთი წაწალაშვილი (2370), 97. სა-ლომე მელია (2368).

ვაჟთა რეიტინგს მსოფლიოს ჩემპიონი მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2872) ლიდერობს. 50 პუნქტით ნაკლები აქვს ჩემპიონის ტახტის მოცი-ლე ფაბიანო კარუანას (აშშ, 2822). მესამე - მეათე ადგილებს დინ ლიჟე-ნი (ჩინეთი, 2801), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი, 2780), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2777), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2775), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2772), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2769), იან ნე-პომნიაშჩი (რუსეთი, 2767) და თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი, 2765) ინაწილებენ. საქართველოდან ივან ჩეპარინოვს 2687 პუნქტით 48-ე ად-გილი უკავია.

ლექსო ცინცაძე

მეოთხეს დასჯერდა

მონაკოში დამთავრდა მოჭადრაკეთა ევ-როპის ჩემპიონატი სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში. ბლიცში (პარტიისთვის თითოეულ მეტოქეს 3-3 წუთი ეძლეოდა ყოველ სვლაზე 2-2 წამის დამატებით) საქართველოდან ძალებს ცდიდნენ ხუთ-ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონები - ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩი-ბურდანიძე და ევროპის 2017 წლის ჩემპიონი ნანა ძაგნიძე. 13 შესაძლებლობიდან 8.5 ქულით ნანამ მე-13 ადგილი დაიკავა, მაია 7.5 ქულით 25-ე იყო, ხოლო ნონა 7 ქულით 37-ე ადგილ-ზე გავიდა, საპრიზო ადგილები კი ასე განა-წილდა: 1. ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 10), 2. ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 9.5), 3. ვალენტინა გუნინა (რუსეთი, 9.5).

რაპიდში (პარტიისთვის 15-15 წუთს პლუს 10-10 წამი ყოველი სვლისთვის) პირველობისთვის 107 მოჭადრაკე იბრძოდა. ჩვენებურთაგან გაფრინდაშ-ვილსა და ჩიბურდანიძესთან ერთად ამ-ჯერად ნინო ბაციაშვილმა ითამაშა, რომელმაც 11 შესაძლებლობიდან 8 ქუ-ლით მეოთხე ადგილი დაიკავა. ამდენი-ვე ქულა ჰქონდა მსოფლიოს და ევრო-პის ექს-ჩემპიონ ანტოანეტა სტეფანო-ვას (ბულგარეთი), მაგრამ მას უკეთე-სი კოეფიციენტი აღმოაჩნდა და ბრინ-ჯაოს მედალი ხვდა. ჩემპიონობა აქაც ალექსანდრა კოსტენიუკმა (9 ქულა) მო-იპოვა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი დამატებითი მაჩვენებლებით მე-2 ად-გილი ოლგა გირიას (რუსეთი) ერგო. 6,5 ქულით ჩიბურდანიძე 25-ე, ხოლო გაფ-რინდაშვილი 6 ქულით 36-ე ადგილზე გავიდა.

რაც შეეხება ნანა ძაგნიძეს, იგი დღე-იდან მონაკოშივე ფიდეს ქალთა გრან პრის 2019-2020 წლების გათამაშების მე-ორე რაუნდში ჩაებმება (სულ ოთხი ეტა-პი გაიმართება. სამი შეჯიბრების ჯამში ორი საუკეთესო 2021 წლის პრეტენდენ-ტთა ტურნირში იასპარეზებს).

მონტე კარლოში 12 უძლიერესი მო-ჭადრაკე ითამაშებს. ესენი არიან: ევრო-პის 2017 წლის ჩემპიონი ნანა ძაგნიძე, მსოფლიოს და ევროპის ექს-ჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი), მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მარია მუზი-ჩუკი (უკრაინა), ევროპის სამგზის ჩემ-პიონი ვალენტინა გუნინა (რუსეთი), ევ-როპის პირველობების ორ-ორგზის გა-მარჯვებულები - პია კრამლინგი (შვე-დეთი) და კატერინა ლაგნო (რუსეთი), ასევე, ელიზაბეტ პეტცი (გერმანია), ანა მუზიჩუკი (უკრაინა), ჰამფი კონერუ, ჰა-რიკა დრონავალი (ორივე - ინდოეთი), ჩჟაო სიუე (ჩინეთი) და რუსი ალექსან-დრა გორიაჩკინა.

დღეს პირველ ტურში ერთმანეთს შეხ-ვდებიან: ჰარიკა დრონავალი - ნანა ძაგ-ნიძე, ელიზაბეტ პეტცი - ჩჟაო სიუე, პია კრამლინგი – ალექსანდრა კოსტენიუკი, ალექსანდრა გორიაჩკინა - კატერინა ლაგნო, ვალენტინა გუნინა – ჰამფი კო-ნერუ, მარია მუზიჩუკი – ანა მუზიჩუკი.

ლაშა დიდია

ხსოვნა

თავმდაბალი და ბავშვივით თვალებანთებული...

ზაირა (ზაზა) ლებანიძე

3 დეკემბერს რუსთაველის თეატრი დიდი გულისტკივილით გამოემშვიდობება დიდებულ ქალბატონს, უნიჭიერეს მსახიობს ზაირა (ზაზა) ლებანიძეს.

გრძელი შემოქმედებითი გზა გაიარა ქალბატონმა ზაზამ, წლების განმავლობაში იგი მოღვაწეობდა სოხუმის თეატრში, მარჯანიშვილის თეატრში, რუსთაველის თეატრში, ბოლო ოთხი ათეული წელია, რუსთაველის თეატრის მსახიობია და არაერთი დასამახსოვრებელი სახე შექმნა ამ თეატრის სცენაზე: ელენე („თავისუფალი თემა“), ბებია („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), ნატო, ანოს დედა („როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“) და სხვა. ჩვენს მაყურებელს არასდროს დაავიწყდება ზაზა ლებანიძის სცენური სახეები, თუნდაც ლოლას გულშიჩამწვდომი სიმღერა სპექტაკლიდან „მოხუცი ჯამბაზები“.

მიუხედავად მხცოვანი ასაკისა, ქალბატონი ზაზა ყოველთვის გამოირჩეოდა ახალგაზრდული შემართებით. საოცარი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ყოველ ახალ როლს და დამსახურებულად მოიპოვა მაყურებლისა და კოლეგების სიყვარული. ზაზა ლებანიძის ბოლო როლი ჯაჯო იყო რობერტ სტურუას სპექტაკლში „ასულნი“.

მოკრძალებული, კეთილი, თავმდაბალი და ბავშვივით თვალებანთებული, ასეთად დარჩება იგი ჩვენს მეხსიერებაში.

ღრმა მწუხარებით გემშვიდობებით, ქალბატონო ზაზა, იძინეთ მშვიდად, თქვენ ვალმოხდილი მიდიხართ ამ ქვეყნიდან.

რუსთაველის თეატრი

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ამავე აკადემიის ნამდვილი წევრის, აკადემიკოს

რომან კუჭუხიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, მეგობრებსა და ახლობლებს.

აკადემიას გამოაკლდა ღირსეული პიროვნება და ძვირფასი მეგობარი, რომელიც წლების განმავლობაში სამეცნიერო მუშაობასთან ერთად, მოღვაწეობდა სახელმწიფო სტრუქტურებში, იყო თბილისის სტატისტიკური სამმართველოს უფროსი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი, თბილისის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი, დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნისა და ღირსების ორდენებით, იყო არჩეული აბაშის საპატიო მოქალაქედ.

ოჯახმა დაკარგა ძვირფასი მეუღლე და უსაყვარლესი მამა, სამეგობრომ და კოლეგებმა — ერთგული თანამოსაქმე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

აკადემიის სახელით
თეიმურაზ ბაბუნაშვილი,
ნოდარ ჭითანავა

პანაშვიდი: 3, 4 XII, 17 სთ; გამოსვენება: 5 XII, 14 სთ;
მისამართი: ზაქარიაძის ქ. №12, II სადარბაზო, I სართული (მეტრო „დელისთან“).

საქართველოში წლეულს თბილი ზამთარი იქნება

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2019-2020 წლების ზამთრის სეზონის პროგნოზით, საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერის საშუალო ტემპერატურა, საშუალო მრავალწლიურ ტემპერატურაზე — 1 გრადუსით მაღალი, ხოლო ნალექების რაოდენობა, საშუალო მრავალწლიური რაოდენობის ფარგლებშია მოსალოდნელი.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ექსპერტების კლიმატური პროგნოზის ფორუმზე (SEECOF-22) მომზადებული 2019-2020 წლების ზამთრის სეზონის ამინდის პროგნოზი ეყრდნობა გლობალურ და ხმელთაშუა ზღვის და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონების დინამიკურ და სტატისტიკურ მოდელებს.

ექსპერტების დასკვნით, 2019-2020 წლის ზამთრის პერიოდში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, აღმოსავლეთ ევროპის და კავკასიის რეგიონებზე მომავალი ზამთრის ამინდის ფორმირებაზე დომინანტურ როლს წყნარ, ატლანტიკის და ინდოეთის ოკეანეებში მიმდინარე და მოსალოდნელი პროცესები შეასრულებს.

მომავალი ზამთრის პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერის საშუალო ტემპერატურა, საშუალო მრავალწლიურ ტემპერატურაზე — 1 გრადუსით მაღალი, ხოლო ნალექების რაოდენობა, საშუალო მრავალწლიური რაოდენობის ფარგლებშია მოსალოდნელი.

სანთელი

მეუღლე ფისო ხვედელიანი, და თამრიკო აბესაძე, შვილები სალომე, გიორგი აბესაძეები, სიძე ლევან ხუროძე, შვილიშვილები გიორგი, დათუჩა, რძალი სოფო მალაშხია, შვილთაშვილები ლევანიკო, ელი ხუროძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გია გიორგის ძე აბესაძე

პანაშვიდი: 3,4 XII, 17 სთ., ი. ჭავჭავაძის გამზირი №11; გამოსვენება: 5 XII, 14 სთ. ვაკის ყოვლადწმინდა სამების ტაძრიდან (ი. ჭავჭავაძის გამზ. №37).

ცოლისდა მანანა ხვედელიანი, ქვისლი ოთარ ბრეგვაძე, თემურო, ლიკა, დოდო, აკაკი, ელისო, მანანიკო, ნინა ბრეგვაძეები, ლიკა გელიაშვილი, მაშიკო, ილია გიორგაძეები, მერაბ, ნინო, ქეთა ვაშაკიძეები, ირმა ძამაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უკეთილშობილესი, ზნეკეთილი პიროვნება

გია აბესაძე

მანანა, რამაზ ხუროძეები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან შესანიშნავი პიროვნების, დამსახურებული საზოგადო მოღვაწის, ღირსეული მამულიშვილის

გია აბესაძის

გარდაცვალებას.

ნელი, ზაურ ფხალაძეები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ ოჯახის უახლოესი მეგობრის, დიდი მოყვასის, ქვეყნისა და ერის დიდი მოამაგის

გიორგი (გია) აბესაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, მეგობრებსა და ახლობლებს.

შვილები მაია, თათია ჯაშები, სიძეები ზურაბ აბდუშელიშვილი, ვაჟიკო ჩაჩხიანი, შვილიშვილები ნესტანიკო, ანანო აბდუშელიშვილები, თათა ჯაში, შვილთაშვილები ქეთინო ცინცაძე, გიგო ჩაჩხიანი, მძახალი გივი აბდუშელიშვილი, ნესტან, დიმიტრი აბდუშელიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მედიკო კეკელიძე-ჯაში

გამოსვენება: 3 XII. მისამართი: მარჯანიშვილის ქ. 86/90, სადარბაზო III, სართული IV. დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე.

გარდაიცვალა ჟურნალისტი ანა მამულაშვილი

მძიმე ავადმყოფობის შედეგად, 33 წლის ასაკში გარდაიცვალა ჟურნალისტი და ტელეწამყვანი ანა მამულაშვილი. ანას მელანომის დიაგნოზი 2013 წელს დაუდგინდა.

ბიზნესპარტნიორის მკვლელობის საქმეზე ერთი პირი დააკავეს!

სამართალდამცველებმა ვანის მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონის სანაპიროზე, ლითონის კასრში ნაპოვნი მამაკაცის დამწვარი ცხედრის საქმე გახსნეს.

როგორც შსს-ში აცხადებენ, განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულია ერთი პირი — 1979 წელს დაბადებული, წარსულში გამოძალვისთვის ნასამართლევი ა.ტ.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„ა.ტ.-მ 2018 წლის მაისში, ხაშურის მუნიციპალიტეტში, ფინანსური დავის გამო, კუთვნილი არარეგისტრირებული სანადირო თოფიდან გასროლით თავისი ბიზნესპარტნიორი — ნ.ქ. მოკლა. ბრალდებულმა ცხედარი, დანაშაულის დაფარვისა და კვალის წაშლის მიზნით, ლითონის კასრში მოათავსა და ცეცხლი წაუკიდა. ა.ტ.-მ ნაწილობრივ დამწვარი ცხედარი საკუთარი ავტომობილით ვანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში ჩაიტანა და კასრიანად მდინარე რიონში გადააგდო“, — ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. მათივე ცნობით, ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ყველაზე დაბინძურებული ზღვა ევროპაში

BBC-მ შავ ზღვაში დაბიძნურების კუთხით არსებულ ვითარებაზე რეპორტაჟი მოამზადა, რომელშიც ბათუმის ნაგავსაყრელზეც არის საუბარი.

„ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს ზღვა, რომელიც ათწლეულების მანძილზე რეგიონის ნაგავსაყრელის ფუნქციას ასრულებდა. ეს პრობლემა დღესაც მწვავედ დგას. შავი ზღვა ევროპაში ყველაზე დაბინძურებული ზღვაა. შეიძლება მისი გადარჩენა? რა თქმა უნდა, ამის იმედი არსებობს“, – იუწყება გამოცემა.

ბრიტანელი ჟურნალისტი იონა ფიშერი, რომელმაც ბათუმის ნაგავსაყრელი დაათვალიერა, აცხადებს, რომ იქაურობა „ამაზრზენად“ გამოიყურება.

„აქ ნახავთ ცხოველებს, ფრინველებს და ადამიანებსაც კი, მაგრამ მთავარი პრობლემა არის ის, რომ ეს უზარმაზარი ნაგავსაყრელი შავი ზღვის სანაპიროდან სულ რაღაც 300-400 მეტრის დაშორებით მდებარეობს და მდინარის გავლით ეს ნაგავი ზღვაში ჩადის. შავ ზღვას ძირითადად მდინარეებიდან ჩატანილი ნაგავი აბინძურებს“, – აცხადებს ფიშერი.

გამოცემის ცნობით, შავი ზღვის მთავარი დამაბინძურებელი მდინარეები დნეპრი, დნესტრი და დუნაია.

როგორც გამოცემასთან EMBLAS-Plus-ის (შავი ზღვის მონიტორინგის) წარმომადგენელი იაროსლავ სლობოდნიკი აცხადებს, **„შავი ზღვის ყოველი კვადრატული მეტრის დაბინძურების ხარისხი ორჯერ მეტია ხმელთაშუა ზღვის დაბინძურების ხარისხთან შედარებით. ეს იმას ნიშნავს, რომ შავ ზღვაში ევროპის ზღვებს შორის ყველაზე უარესი სიტუაციაა დაბინძურების თვალსაზრისით“.**

შავი ზღვის ქიმიკატებით დაბინძურებაზე საუბრობს სლოვაკეთის გარემოს დაცვის ინსტიტუტის წარმომადგენელი პიტერ ოსვალდი:

„საგანგაშოა, რომ შავი ზღვის სინჯებმა აჩვენა წყალში ქიმიკატების მაღალი კონცენტრაციაც, რაც თითქოს მოულოდნელია ნაპირიდან 400 კილომეტრის დაშორებით, მაგრამ ასეა. ხალხი ფიქრობს, რომ ეს მათ არ ეხება და სადღაც შორს, ზღვაშია დაბინძურება, მაგრამ იგივე ქიმიკატებს ვხვდებით შავ ზღვაში მობინადრე თევზებსა და ზღვის სხვა არსებებში, რასაც რესტორანში მივირთმევთ“.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ეკლესიაში სროლას 14 ადამიანი ემსხვერპლა

ბურკინა-ფასოს ქალაქ ჰანტუკურაში, ეკლესიაში სროლას სულ მცირე 14 ადამიანი ემსხვერპლა.

თავდამსხმელის ვინაობა და მოტივები ჯერჯერობით უცნობია. ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაციით, დაიჭრა ათობით ადამიანი. წინასწარი ინფორმაციით, მოკლულთა შორის სასულიერო პირიცაა. ბოლო წლების განმავლობაში ჯიჰადისტურმა დაჯგუფებებმა ბურკინა-ფასოში ასობით ადამიანი მოკლეს, რამაც ქვეყანაში ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები გამოიწვია.

ტურინში ევაკუაცია გამოცხადდა

იტალიაში, ტურინში მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ბომბი გააუვნებლეს.

განაღმვითი სამუშაოების დაწყებამდე სამართალდამცველებმა ქალაქის ისტორიული უბნის 10 ათასი მკვიდრის ევაკუაცია განახორციელეს. მოშორებით მცხოვრებ კიდევ 50 ათას ადამიანს არჩევანი შესთავაზეს – სახლების დატოვება, ან ოპერაციის მსვლელობის დროს გარეთ გასვლისგან თავის შეკავება.

ბრიტანული ბომბი ტურინში 70 წლის წინ ჩამოვარდა და 65 კილოგრამ დინამიტს შეიცავდა. ოპერაციის ადგილზე პატრულირებას ჯარისკაცები ახორციელებდნენ. ჩაკეტილი იყო ტურინის საჰაერო სივრცე. თუმცა სამუშაოები მოსალოდნელზე ადრე დასრულდა და ევაკუირებულებს სახლებში დაბრუნების უფლება მისცეს.

ნოემბერში ანალოგიური შემთხვევა გერმანიაშიც მოხდა. მაშინ ბერლინში 4 500 ადამიანის ევაკუაცია გამოცხადდა.

33 მილიონი ადამიანი შიმშილობის ზღვარზეა

პოლიტიკური ლიდერები და კლიმატის საკითხში დიპლომატები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები და სპეციალისტები მადრიდში ორი კვირის განმავლობაში კლიმატის ცვლილების საკითხებზე იმსჯელებენ. კონფერენცია ჩილეში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ მთავრობამ, ქვეყანაში მიმდინარე არეულობის გამო, ის გააუქმა. მასპინძლობის სურვილი კი მადრიდმა გამოთქვა. ვარაუდობენ, რომ ორი კვირის განმავლობაში კონფერენციას 29 ათასამდე დელეგატი დაესწრება.

კონფერენციამდე ცოტა ხნით ადრე, გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერეშმა განაცხადა, რომ მსოფლიომ ბუნებასთან ომი უნდა შეწყვიტოს და კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლისთვის პოლიტიკური ნება გამოიჩინოს.

არასამთავრობო ორგანიზაცია Save the Children-ის განცხადებით, კლიმატური შოკების გამო აფრიკაში 33 მილიონი ადამიანი საკვების უკმარისობის მხრივ საგანგებო ზღვარზეა.

კონფერენციაზე მსოფლიოს 50-მდე პოლიტიკურ ლიდერს ელოდებიან, თუმცა მათ შორის არ იქნება აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი. კონფერენცია 13 დეკემბრამდე გაგრძელდება.

26 ნოემბერს გაერომ გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც ნათქვამია, რომ სახელმწიფოები კლიმატის დასაცავად საკმარის ზომებს არ იღებენ.

სექტემბერში, ნიუ-იორკში გაეროს ეგიდით ჩატარებულ კლიმატურ სამიტზე 66 სახელმწიფო ატმოსფეროში CO2-ის შემცირებაზე შეთანხმდა, თუმცა გაეროს ბოლო ანგარიშის თანახმად, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ყველა ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემთხვევაშიც კი, 2100 წლისთვის პლანეტაზე ტემპერატურა გაიზრდება.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

თავდასხმა დეპუტატზე

კიევის საოლქო საბჭოს წევრის, დეპუტატ ვიაჩესლავ სობოლოვის ავტომობილს ქალაქის ცენტრში ცეცხლი გაუსნეს, რის შედეგადაც მანქანაში მჯდომი სამი წლის ბავშვი დაიღუპა, თავად სობოლოვი უვნებლად გადარჩა. ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. მედიის ცნობით, ჯერჯერობით უცნობია, ვინ ესროლა მანქანას. მომხდართან დაკავშირებით ქალაქში საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს. მედია ასევე წერს, რომ ავტომობილში მყოფი ბავშვი სასწრაფოს საავადმყოფოში გადაჰყავდა, თუმცა ის მიღებული ჭრილობისგან გზაში გარდაიცვალა.

ადრე მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ სობოლოვს ტერორიზმის დაფინანსებას ედავებოდნენ. როგორც მედია წერდა, მისი სუპერმარკეტების ქსელი გადასახადებს დონეცკის არაღიარებულ რესპუბლიკაში იხდიდა. უკრაინის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, სობოლოვის კომპანიამ 2014 წლიდან 2016 წლის მაისამდე „დონეცკის სახალხო რესპუბლიკის ბანკში“ 7 მილიონი რუსული რუბლი და 266 ათასი უკრაინული გრივნა გადასახადის სახით ჩარიცხა, რადგან კომპანიაც დონეცკის კანონმდებლობის მიხედვით არის რეგისტრირებული.

ყურადღება!
„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9695; ევრო - 3.2676;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8292;
100 რუბლი - 4.6268; თურქული ლირა - 0.5162;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7471;
1000 სომხური დრამი - 6.2188

ამინდი 3 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+10
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+8
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-12,	დღე	+5
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge